ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი 1 სექტემბერი

# კავკასიონი

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი № 153 (222)

ფასი 1000 რუბლის ტ/კ კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა




1-ლი სვეტი

## თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ, სულით ხორცამდე შეგვძრა ცნობამ თქვენს წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტის შესახებ. ეს ვერაგული აქცია იყო კულმინაცია იმ ტერორისტული აქტების მთელი კასკადისა, რომელმაც ბევრი შესანიშნავი მამულიშვილი იმსხვერპლა. საბედნიეროდ, ამჯერად ბოროტი განზრახვა ჩაიშალა. ჩვენ არაერთხელ გამოვცადეთ საკუთარ თავზე ტერორიზმის მცდელობები, ამიტომაც უფრო მძაფრად აღვიქვამთ რა მას, არაერთხელ ოფიციალურად გამოვგითქვამს აღშფოთება საქართველოში და, კერძოდ, დედაქალაქში ამ მხრივ მიმდინარე პროცესებზე. მეტის მოთმენა დანაშაულის ტოლფასია. 29 აგვისტოს აფეთქებით უნდა დაესვას საბოლოო წერტილი იმ განუკითხაობას, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს აქტი მხოლოდ მთავარი ნაწილია ფართომასშტაბიანი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა. ამიტომაც, თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული რადიკალური ზომები, შეიძლება გარდაუვალი გახდეს შეიარაღებული დაპირისპირება. გარწმუნებთ, აჭარის მთელი მოსახლეობისა და მისი ხელმძღვანელების სახელით, რომ კვლავ მხარს დაგიჭერთ იმ სამართლიან და უკომპრომისო ბრძოლაში, რომელიც მიმართული იქნება საქართველოში საყოველთაო წესრიგისა და სიმშვიდის დასამყარებლად. გისურვებთ თქვენ და ქალბატონ ნანულის სიმხნევეს, დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას.

უღრმესი პატივისცემით
ასლან აბაშიძე
ნანული გოგიტიძე-აბაშიძე

## 200 წელი კრწანისის ტრაგედიიდან



კრწანისის ველზე დამარცხება რომ არა, საქართველოს ისტორია, შეიძლება სრულიად სხვა გზით წასულიყო. კრწანისის გახსენება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სწორედ დღეს, ვინაიდან თანამედროვე საქართველოს მოქალაქემ ამ ტრაგედიის შესახებ ისტორიიდანაც იცის და... პირადი გამოცდილებითაც... ჩვენ ჩვენი კრწანისი ვიწვნიეთ.

## ქალთა კოლონია — კედლებს მიღმა დარჩენილი ტკივილი



თურმე, საქართველოში არსებობს ქალთა კოლონია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკით, მოწესრიგებული საწოლებით, ტელევიზორით, კარგი კვებით და ცხელი წყლითაც კი!

მსჯავრდებულები გაოცებას ვერ მალავენ.



გაზეთ «კავკასიონის» მკითხველებმა იციან, რომ გამოცხადებული იყო კონკურსი გაზეთის სახელწოდების დიზაინის შესაცვლელად. წარმოდგენილი იყო ოცდახუთამდე ნიმუში, რომელთა ავტორებსაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. გაიმარჯვა ბატონი თამაზ ჩხაიძის ვარიანტმა.

## ვიწყებთ სწავლას, ესე იგი — ვიწყებთ ნორმალურ ცხოვრებას!

### სახელმწიფოს მეთაურის საპირველსექტემბრო მიმართვა



„უმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადრო, ვინ არის, სადამ მოსულა, სად არის, წავა სადაო!"

მინდა, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგებს, მოსწავლეებს, სტუდენტობას და მთლიანად საქართველოსაც მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება.

ვიწყებთ სწავლას, ესე იგი — ვიწყებთ ნორმალურ ცხოვრებას!

წლევანდელი წელი რეფორმათა წელია, რომელიც დააგვირგვინა პოლიტიკური რეფორმის ფუძემდებლურმა დოკუმენტმა — კონსტიტუციამ.

ამ კონსტიტუციაში თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ადამიანის უფლებათა შორის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა — უფლებამ სწავლაზე.

პარლამენტმა მოამზადა განათლების კანონი, მინისტრთა კაბინეტი იღებს განათლების რეფორმის პროგრამას, განათლების სამინისტრომ დაამტკიცა განათლების კონცეფცია.

ეს ნორმატიული აქტები არსებითია განათლების სისტემის მიზანმიმართული და შეუფერხებელი საქმიანობისთვის, მაგრამ თვით ყველაზე კარგად შედგენილი კანონი და პროგრამა შეიძლება მხოლოდ ქაღალდზე დარჩეს ან ფარატინა ფურცლად იქცეს, თუ მას განმახორციელებელი არ ეყოლა.

განათლების რეფორმის უპირველესი ხორცის შემსხმელი თქვენ ბრძანდებით — მასწავლებლები, ლექტორები, აღმზრდელები...

როგორ მესახება ამ ფონზე განათლების სისტემის პერსპექტივები?

მჯერა, დამდეგი სასწავლო წელი უკეთესი იქნება, ვიდრე შარშანდელი; ამას ვამბობ იმისდა მიუხედავად, რაც ახლახან მოხდა: მხედველობაში მაქვს ჩემს მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტი. გადავრჩი, განგებამ და ღვთის ნებამ გადამარჩინა. ხალხი ამბობს — საიქიოდან მობრუნებულს ყველაფერი დაეჯერებაო. საიქიოდან მობრუნებულს არ ვგავარ, მაგრამ მაინც მინდა დამიჯეროთ — ხვალ უკეთესი ჟამი დაგვიდგება! ობიექტური თვალი პედაგოგისა შენიშნავდა, რომ ქვეყანა ლაგდება, დემოკრატიული სამოქალაქო ცხოვრების წესი და კანონი ძალას იკრებს, წარმოება ილეიძებს სალათას ძილისგან და, საერთოდ, ცხოვრება შედარებით ნორმალურ კალაპოტში დგება.

სწორედ ამ პროცესმა გააშმაგა დესტრუქციული ძალები. ისინი ტერორის სრულიად უპერსპექტივო გზას დაადგნენ, მაგრამ მწამს, რომ ჩემზე თავდასხმა ამ ისტორიულად განწირული ძალების უკანასკნელი გაფართხალებაა.

ცხადია, დღეს ბევრი რამ გვაკლია. დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გაუკვალავ გზებზე ზოგჯერ წავიფორხილებთ კიდეც, მაგრამ გეზი და მიმართულება სწორი გვაქვს და ამ სასიკეთო პროცესის განმსაზღვრელიც და ამაჩქარებელიც განათლებაა, რამდენადაც ყველაფერს მრეწველობასაც, სოფლის მეურნეობასაც, მშენებლობასაც სწავლება სჭირდება; სწავლება უნდა შრომას, სწავლება უნდა ომსაც, და — სხვათა შორის — ომის თავიდან არიდების ხელოვნებასაც. ტყუილად როდი ამბობდა ერთი ჭკვიანი პოლიტიკოსი — ომს იგებს სოფლის მასწავლებელიო. ჩვენც მასწავლებლობამ, სკოლამ უნდა მოგვაგებინოს ყველა ომი: სწორად დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმეს, მერწმუნეთ, ლომის წილი ედება ჩვენს ტერიტორიულ გამთლიანებასა და სახელმწიფოებრივ გაძლიერებაში.

წელს, ოთხი წლის შემდეგ, კვლავ დაირეკება საპირველსექტემბრო ზარი ჩვენს პირველ სკოლაში. და როგორც პირველი საშუალო სკოლა აღდგა ფერფლისა და ნანგრევებისგან, მწამს, რომ თქვენ, ჩვენო მასწავლებლებო და მოსწავლეებო, ლექტორებო და სტუდენტობავ, აღმზრდელებო და აღსაზრდელებო ფეხზე წამოაყენებთ და გაამყარებთ სკოლას, განათლებას, ესე იგი — გაამაგრებთ და გააძლიერებთ საქართველოს.

[signature]

ვიზიტი

## ქალბატონი თანსუ ჩილერი საქართველოს ეწვია

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღვთისა დანაბადია!"



გუშინ, საქართველოს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვია თურქეთის პრემიერმინისტრი ქალბატონი თანსუ ჩილერი. ძნელია ამ ვიზიტის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. ჩვენი მეზობელი თურქეთი დღეს სწრაფად პროგრესირებადი ქვეყნების რიგს განეკუთვნება და განვითარების საკმაოდ დიდი პერსპექტივები გააჩნია. ამას გარდა, სწორედ თურქეთის პოზიციაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც უკავშირდება აზერბაიჯანისა და შუა აზიის ნავთობის ევროპისკენ ტრანსპორტირებას. თუ რამდენადაა დაინტერესებული საქართველო ნავთობის ტრანზიტის საკითხით, ვფიქრობთ, ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს.

ქალბატონ თანსუ ჩილერის ვიზიტს სერიოზული პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია და ეს დატვირთვა ერთი-ორად იზრდება საქართველოში ბოლო დროს მომხდარი მოვლენების ფონზე. მხედველობაში გვაქვს ქვეყნის კონსტიტუციის მიღება, არჩევნების დანიშვნა და საერთოდ, ის პოზიტიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრები, რაც ამ ბოლო დროს შეინიშნება ჩვენს ქვეყანაში. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, თუ რაოდენ დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაზე ნავთობი.

პრესკონფერენციაზე, რომელიც გუშინ გაიმართა მინისტრთა კაბინეტის შენობაში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ძალზე მაღალი შეფასება მისცა თურქეთის პრემიერმინისტრთან მოლაპარაკებებს და აღნიშნა, რომ მიღწეულია რამდენიმე პრინციპული შეთანხმება, ხელი მოეწერა ძალზე მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

იხილეთ მე—2 გვ.

ფაქტები და მოვლენები

## პარლამენტის შენობის ჩხრეკის შემდეგ

29 აგვისტოს მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი რესპუბლიკის პროკურატურის, უშიშროების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან.

დღეისთვის დადგენილია, რომ აფეთქება მიმართული იყო სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ, სახელმწიფოს გადატრიალების მიზნით. აფეთქება განხორციელდა დისტანციური პულტის მეშვეობით. შესაბამისად, გამოძიება მიიჩნევს, რომ ავტომანქანა ,,ნივა'', რომელშიც ჩადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, ტერორისტის თვალთახედვის არეში უნდა ყოფილიყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოძიებამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეთვალიერებინა და გაეჩხრიკა მიმდებარე, მათ შორის, პარლამენტის შენობა. პარლამენტის დადგენილების თანახმად, გამოძიებას მიეცა უფლება ჩაეტარებინა პარლამენტის შენობის დათვალიერება-ჩხრეკა, პარლამენტართა სამუშაო ოთახების ჩათვლით.

30 აგვისტოს პარლამენტის შენობიდან ამოღებულია დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერება.

პარლამენტარ ჯაბა იოსელიანის კაბინეტიდან გარდა ცეცხლსასროლი იარაღებისა და დიდი ოდენობით ფულისა, ამოღებულია 500 აბი კოდეინი და 150 ამპულა ნორფინი.

სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ყოფილი მთავარი სახელმწიფო მრჩევლის ალექსანდრე ბოჭორიშვილის სამუშაო ოთახიდან ამოღებულია 3 პისტოლეტი, 1 პისტოლეტ-დანა, 1 000 ცალი [illegible] ვაზნა, 14 000 ამერიკული დოლარი.

ჯაბა იოსელიანის პირადი დაცვის ოთახებიდან ამოიღეს 25 ავტომატი, ხელყუმბარები, ყუმბარმტყორცნები, დიდი ოდენობით ტყვია-წამალი და სამხედრო მასალა.

ალექსანდრე ბოჭორიშვილი დაპატიმრებულია.

დაპატიმრებულია აგრეთვე სამთავრობო დაცვის თერთმეტი მუშაკი, რომელთა დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო აღმოჩნდა პარლამენტის ტერიტორიაზე ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული უცხო მანქანა.

[illegible]
საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის უფროსი

* * *

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სა- აგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის მოადგილემ დოდო გუგეშაშვილმა და ჯაბა იოსელიანის პირადი დაცვის უფროსმა თამაზ ფანჩულიძემ განაცხადეს, რომ აღმოჩენილი იარაღი დაფიქსირებულია სამთავრობო დაცვაში, ხოლო ნარკოტიკები და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები არის მაშველთა კორპუსის ჰოსპიტლის საკუთრება და შენახული იყო პარლამენტში, რადგან არ იყო გამორიცხული ჰოსპიტალზე თავდასხმა ნარკოტიკების წართმევის მიზნით. რაც შეეხება ფულს, იგი შეგროვილი იყო დაღუპულ მხედრიონელთა ოჯახების დასახმარებლად და მათი საფლავების კეთილმოსაწყობად.

იპრინფა

11 სექტემბერს სრულდება 200 წელი კრწანისის ტრაგედიიდან



# გვმართებს გახსენება დამარცხებისა და შენება სახელმწიფოსი

„ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა იგი ივიწყებს თავის ისტორიას. ამისთანა ამბავი, როგორც კრწანისის პანაშვიდია, უტყვი მთხრობელია ისტორიისა. მან მოგვაგონა, გაგვახსენა ერთი დიდებული, თუმცა უბედური ეპიზოდი ჩვენის წარსულისა. მაგისთანა ამბები თვალსაჩინო მასწავლებელია იმისა, თუ ვინა ვართ და საიდან მოვდივართ, რა ვყოფილვართ, რანი ვართ და რა ვიქნებით. გინდათ თუ არა, ამისთანა ამბები ამაებზე ჩაგაფიქრებენ, ამაებზე განადიკლებენ, ამაებზე მოიზიდავენ თქვენს ჭკუა-გონებას, თქვენს ძალ-ღონეს სულისას და ხორცისას და ეს ადამიანის აღმატებისთვის კაი თითო სავარჯიშოა".

ილია

კრწანისის ველზე დამარცხება რომ არა, საქართველოს ისტორია შეიძლება სრულიად სხვა გზით წასულიყო. კრწანისის გახსენება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სწორედ დღეს, ვინაიდან თანამედროვე საქართველოს მოქალაქემ ამ ტრაგედიის შესახებ ისტორიიდანაც იცის და... პირადი გამოცდილებითაც... ჩვენ ჩვენი კრწანისი ვიწვნიეთ.

თუ ქვეყანა, ადამიანი, სულის მხნეობას ინარჩუნებს და სამომავლოდ ღირსეულ ცხოვრებას აპირებს, არ უნდა შეაშინოს დამარცხების მოგონებამ. ამისთანა თარიღების გახსენება იმიტომ კი არ გვმართებს, რომ გლოვით თავი დავიბეჩაოთ და უიმედობას მივეცეთ, არამედ წარსულის შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ და გამარჯვებისთვის მოვემზადოთ.

თავი იჩინა ტენდენციამ, რომ ლამის ყველაფერი გეოპოლიტიკურ პროცესებს ბრალდება და ამით, ნებსით თუ უნებლიედ, მკვიდრდება აზრი, თითქოს ყველა უბედურება, რომელიც თავს გვატყდება, გარდუვალი ისტორიული აუცილებლობით იყოს გამოწვეული. თითქოს საქართველოს ბედი ყოველთვის სხვაგან წყდება და ჩვენ მხოლოდ განაჩენის უსუსურად მსმენელების როლი გვარგუნა განგებამ. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინება რომ აუცილებელია, ანბანური ჭეშმარიტებაა, ძლიერი დინების წინააღმდეგ აღმა სვლა შეიძლება ზოგჯერ შეუძლებელიც იყოს, მაგრამ დახელოვნებული მოცურავე მაინც მოახერხებს სამშვიდობოზე გასვლას, ხელის განძრევის უნარდაკარგულს კი აუცილებლად დაახრჩობს მდინარე.

ალა-მაჰმად-ხანს გაცილებით დიდი ჯარი ჰყავდა, ჩრდილოელი დიდი მეზობლის დაპირებაც დახმარების შესახებ, ტრადიციისამებრ, დაპირებადვე დარჩა, თუმცა კრწანისის ომის მოგება მაინც შეიძლებოდა, მხოლოდ სამიათასიოდე მამულიშვილის იმედად რომ არ დარჩენილიყო ქვეყანა. იგივე განმეორდა 1921 წელს... 1993 წელს. დრო მიდის, სურათი არ იცვლება, ერთი მხრივ, სამშობლოსთვის გულანთებული ვაჟკაცები და მეორე მხრივ, შური, გაუტანლობა, ღალატი, მოხვეჭის სურვილი, უდარდელობა, რამაც საბოლოოდ გადაფარა ქვეყნისთვის თავდადებულთა ღვაწლი. ეს არ არის ქართული ხასიათის რაიმე განსაკუთრებულობის ბრალი. ამას იწვევს ის, რომ ძლიერნიც ამა ქვეყნისანი და უბრალო მოქალაქენიც განვიცდით სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს.

კრწანისი, კოჯორი და აფხაზეთი სხვადასხვა ეპიზოდებია ერთი ტრაგედიისა, რომლის სათავეც, უპირველესად, ისევ სახელმწიფოსადმი ჩვენს დამოკიდებულებაშია საძებნელი. სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ერთი მუჭა თავგანწირული ადამიანების და თუნდაც გენიალური მხედართმთავრის იმედად, სახელმწიფოებრივი არსებობა პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულ მოქალაქეთა ერთობაა. ამგვარი ფიქრი და ძალისხმევა რომ დღენიადაგ საჭიროა, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს 11 სექტემბერი — კრწანისის ტრაგედიის დღე.

ასი წლის წინ ქართველებმა დიდი მოწიწებით აღნიშნეს ეს თარიღი, მაშინ 11 სექტემბერი იქცა გრანდიოზულ ღონისძიებად, კიდევ ერთ ნაბიჯად ერის გამოფხიზლებისა და კონსოლიდაციის გზაზე.

კარგი იქნება, თუ არც ახლა დაგვრჩება ყურადღებამიუქცეველი „ქართლის ბედისთვის" ესოდენ მნიშვნელოვანი დღე. გავიხსენოთ წარსული, ჩავუფიქრდეთ საკუთარ ისტორიას, იქ მოვძებნოთ ერის წყლულის მალამოც და სამომავლო იმედიც.

„ამისათვის იტყვიან: ციხე შიგნიდან გატყდებაო. ასე იყო მაშინ საქართველოს საქმე. მეფის ირაკლის მტრობის გულისათვის იმისი მტრები საქართველოს ლუპავდნენ გაუკითხავად იმ უხინდისონი, სადაც იმ დროს მთელ საქართველოში მეფის ირაკლის მტრები ჩუმად დაწანწალობდნენ და ხალხს აშინებდნენ: აღა-მაჰმად-ხანი ორასიათასი ჯარით მოდის, დაიხიზნენით, თორემ სულ ერთიან წაგლეკამსო".

მემატიანე

„არსაიდან ჯარი არ მოვიდა, რადგანაც ყველა დროსტარებით, ქეიფით და მხიარულებით იყო გართული. ამიტომ ერეკლე იძულებული გახდა იმ მცირე ჯარით დადგომოდა წინ მტრის მრავალრიცხოვან ლაშქარს".

მემატიანე

## ფაქტები და მოვლენები

ფაქტები და მოვლენები

### საქართველოს სოციალისტური პარტიის განცხადება

საქართველოს სოციალისტური პარტია ერთმნიშვნელოვნად აღიქვამს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის მიმართ 1995 წლის 29 აგვისტოს განხორციელებულ ტერორისტულ აქტს, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს იყო წინასწარ შედგენილი, მიზანდასახული გეგმა, რომლის პირველ ეტაპზე განხორციელებული ტერორისტული აქტების სერიის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის დაშინება, ხოლო ბოლო ეტაპის ვერაგულ განზრახვას — სახელმწიფო მეთაურის ფიზიკური განადგურება, იარაღის ძალით ხელისუფლების უზურპაცია, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა იზოლაცია და კრიმინალურ-მაფიოზური კლანების დიქტატურის დამყარება. ყოველივე ეს გამოიწვევდა ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის დასამარებას და მის სრულ მოწყვეტას მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებისგან.

ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ყრილობაზე ამგვარი საშიშროების რეალობაზე აფრთხილებდა საზოგადოებას საქართველოს სოციალისტური პარტიის ლიდერი ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურთან ერთად დაშავდა ტერორისტული აქტის შედეგად.

გამოვდივართ რა უკვე კონსტიტუციურად განმტკიცებული სახელმწიფოებრიობის ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის ინტერესებიდან, მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს მოსახლეობას, თითოეულ მოქალაქეს, გამოიჩინოს მეტი შემართება და პოლიტიკური სიფხიზლე, იყოს გარანტი მოახლოებული არჩევნების დროულად და დემოკრატიულად ჩატარებისა. ეს ჩაშლის მაფიოზურ-კრიმინალურ, ოდიოზურ, რევანშისტული იდეების მატარებელ ორთოდოქსთა და ანტიპატრიოტულ ძალთა შავბნელ ზრახვებს.

ვაცხადებთ, ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა მოეთხოვოთ ძალოვან სტრუქტურებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა სიმშვიდისა და წესრიგის უზრუნველყოფა სახელმწიფოში.

პარტია მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას თანადგომისა და სიმშვიდისკენ, თითოეულ მოქალაქეს — გამოიყენოს ახლადმიღებული კონსტიტუციური უფლებანი და გვერდში დაუდგეს სახელმწიფოს მეთაურს ჭეშმარიტად დემოკრატიული, დამოუკიდებელი, სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში. თითოეული ჩვენთაგანის აქტიური პოზიცია უნდა გახდეს ძლიერი, ერთიანი საქართველოს საფუძველი!

### მზად არიან დასახმარებლად

მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის ცნობით, გუშინ, პრემიერმინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო რუსეთისა და საზღვარგარეთის კაზაკთა ჯარების უმაღლესი ატამანი ვიქტორ რატიევი და კაზაკთა საქმეთა საქმიანობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ვადიმ ბოიკო. პრემიერმინისტრმა სტუმრებს გააცნო საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და დასძინა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ლტოლვილების დაბრუნებას საქართველო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს, რაშიც დიდი როლი რუსეთს ენიჭება. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ კაზაკები ოდითგანვე იცავდნენ რუსეთის საზღვრებს და გამოთქვეს სურვილი, საქართველოს სასაზღვრო ჯარებთან ერთად დაიცვან საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი. ატამან რატიევის აზრით, ეს ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესს.

### ბაგრატიონები საპატრიარქოს ესტუმრნენ

გუშინ, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, თავის რეზიდენციაში მიიღო ბატონიშვილი გიორგი და მისი მეუღლე ქალბატონი ნურია ბაგრატიონი, ბატონიშვილი ლეონიდა ბაგრატიონ-რომანოვა ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად, აგრეთვე ქალბატონი მარია რომანოვა. უწმინდესმა და უნეტარესმა აღნიშნა, რომ რუსეთის და საქართველოს სამეფო დინასტიების წარმომადგენლებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ ეკლესიასთან ერთად ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლობის განმტკიცების საქმეში. ბატონიშვილმა გიორგიმ საქართველოს პატრიარქს გადასცა ესპანეთის მეფის კეთილი სურვილები და სთხოვა მას ხელისუფლებასთან შუამდგომლობა, რათა მისმა ვაჟმა ირაკლიმ მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა და იცხოვროს თავის წინაპართა სამშობლოში.

იბერინდა

### აფხაზეთი: სად მიდის ჰუმანიტარული დახმარება

რადიო „თავისუფლება", ეყრდნობა რა სარწმუნო წყაროებს, იუწყება, რომ რუსეთიდან აფხაზეთში შემოტანილმა ათეულობით ტონა ჰუმანიტარულმა დახმარებამ ადრესატებამდე ვერ მიაღწია. ისინი უშუალოდ არძინბას მითითებით სამედლოდ ჩაკეტეს სხვადასხვა საწყობებში „საქართველოდან მოსალოდნელი აგრესიის შემთხვევაში ჯარისკაცთა გამოკვების მიზნით". ამან აფხაზეთში ამჟამად დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. მათი მტკიცებით, საწყობებში „დაქვირისული" სურსათი სრულიად არაჯანდოსნური გზებით კომერციული პუნქტების დახლებზე ხვდება.

### ვაუჩერიზაცია სამაჩაბლოში

ცხინვალის რეგიონში დაიწყეს ვაუჩერების დარიგება. ქალაქის შემოგარენში არსებულ ქართულ სოფლებში უკვე გაიცა 10 ათასამდე ვაუჩერი. აღსანიშნავია, რომ საპრივატიზაციო ბარათებით მოხდა სოფელ კეხვში მდებარე ელექტროსადგურის პრივატიზაცია. თუმცა, ეს ობიექტი, რომელიც თავის დროზე მთელ ცხინვალს ამარაგებდა ელექტროენერგიით, ამჟამად არ მოქმედებს.

### აღმოჩენილია ფიროსმანის ახალი ტილო

უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა — მუშამბა, ვინაიდან დიდი ქართველი მხატვარი, როგორც ცნობილია, მხოლოდ თავისსავე შეღებილ მუშამბაზე ქმნიდა შედევრებს. რაც შეეხება ფაქტს: ავლაბარში მდებარე ერთ-ერთი ოჯახის წარმომადგენელმა ხელოვნების მუზეუმს წარუდგინა ნახატი „სააღდგომო ბატკანი", რომელიც, როგორც სპეციალისტებმა, აგრეთვე მხატვარმა თენგიზ მირზაშვილმა დაადასტურეს, ნამდვილად ნიკო ფიროსმანის ფუნჯს ეკუთვნის. სურათი ძალზე შელახულია და იგი რესტავრაციას საჭიროებს.

კავკასიონი

მოკლედ

## პრესკონფერენცია

# ორი ბაყაყისა და მე-3 საბარათო აუქციონის ამბავი

26 ივლისს დაიწყო და პირველ აგვისტოს 17 სთ-ზე დამთავრდა მესამე საბარათო აუქციონი. ამასთან დაკავშირებით ხუთშაბათს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ, საბარათო-სააუქციონო ცენტრის ხელმძღვანელმა ემირ ჯულელმა პრესკონფერენცია გამართა. მისი ცნობით, აუქციონზე გამოტანილი იყო ოცდაათი საწარმოს 4.754.200 აქცია. სულ შემოვიდა 207 განაცხადი 44.607 საპრივატიზაციო ბარათით. გაიყიდა 1.842.756 აქცია, საერთო რაოდენობის 38,76 პროცენტი. დადგინდა საშუალო კურსი — 32 აქცია ერთ ვაუჩერზე. ეს მაჩვენებლები, მართალია, სჭარბობს პირველ აუქციონზე გაყიდული აქციების რაოდენობას, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეორე აუქციონის დადებით მაჩვენებელს, რომელმაც 58,42 პროცენტი შეადგინა. სულ სამივე აუქციონზე აქციების 43,3 პროცენტი გასაღდა.

მესამე საბარათო აუქციონზე დიდი მოთხოვნილება იყო ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაზე — 12.500 აქციიდან გაიყიდა 11.216 და „კეგელზე" — 28.000-დან — 26.700 ასევე ხაშურის მინის ტარის ქარხანაზე, რომლის აქციების 51 პროცენტი უცხოელმა ინვესტორებმა შეიძინეს.

გამოთქვა საყვედური საინვესტიციო ფონდების მისამართით. დღეს ასეთი მდგომარეობაა: „მიჩვენე შენი საინვესტიციო ფონდი და გეტყვი, როგორია შენი ეკონომიკა", — თქვა ბატონმა ემირ ჯულელმა. არადა, აუქციონში მხოლოდ ორი საინვესტიციო ფონდი —" მთავარინვესტი" და „ჯორჯიანტრანზოილ ინვესტი" მონაწილეობდნენ. ასეთი პასიურობის მიზეზად საბარათო-სააუქციონო ცენტრის ხელმძღვანელმა დაასახელა ის ფაქტი, რომ მათ შეზღუდული აქვთ აქციების გამოშვების რაოდენობა. ეს შეზღუდვა კი, როგორც ითქვა, ფონდებს გაკოტრებისაგან იცავს. ბანკროტის პრეცედენტები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის ბალტიისპირეთშიც მრავლადაა. პერსპექტიულად ითვლება ბათუმის „ინდუსტრიაინვესტი", რომელმაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს აჭარაში ახლახან დაწყებულ პრივატიზაციაზე.

აღინიშნა, რომ დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ ქარხანა ცენტროლიტს, „ეკრანს". ხუთი საწარმოს — „ელექტროავტომატის", ქუთაისის რძის კომბინატის, „ცისარტყელას", „ფოთიტორფის" და „კვადრის" — არც ერთი აქცია არ გაიყიდა. ემირ ჯულელმა ამაში ბრალი დასდო თავად ხელმძღვანელებს, რომლებმაც ვერ შეძლეს საწარმოთა თანამედროვე სტანდარტების დონეზე ამოქმედება და ამასთან დაკავშირებით მაწონში ჩავარდნილი ორი ბაყაყის იგავი გაიხსენა. ამ ორიდან ერთმა იმდენი იხტუნა, თავი გადაირჩინა, მეორე კი ბედს დამორჩილდა და ჩაიხრჩო კიდეც მაწონში.

უფრო დაწვრილებით საუბარს აუქციონთან დაკავშირებულ საკითხებზე ემირ ჯულელი ექვსი სექტემბრისთვის დაგვპირდა. თან იმედი გამოთქვა, რომ შემოდგომის დადგომასთან ერთად მოსახლეობის აქტივობაც გაიზრდება.

ირინე დეკანოიძე

## კონკურსი

# საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტისგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი ამა წლის 1 სექტემბრიდან აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

პრემიები დაწესებულია: 1. ლიტერატურის, 2. მუსიკის, 3. თეატრის, 4. სახვითი ხელოვნების, 5. კინო-ტელევიზიის, 6. არქიტექტურის, 7. პუბლიცისტიკისა და 8. საყმაწვილო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში.

საკონკურსოდ მიიღება ნამუშევრები, რომლებიც დასრულებული სახით გამოქვეყნებულია (ნაჩვენებია, აგებულია, შესრულებულია) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე 1993 წლის 1 სექტემბრიდან 1995 წლის 1 სექტემბრამდე.

წარდგინებათა მიღების უკანასკნელი ვადაა 30 სექტემბერი. ლაურეატობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ, ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე, პრესა და ტელევიზია ფართოდ გააშუქებს პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნამუშევრებს, ხოლო კონკურსის შედეგები გამოცხადდება საახალწლოდ.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი თხოვს შემოქმედებით კავშირებს და სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებს — გამომცემლობებს, რედაქციებს, თეატრებს, აგრეთვე კულტურის სამინისტროს, დროულად იზრუნონ საკონკურსო მასალების შერჩევასა და წარმოდგენაზე.

კომიტეტი შენიშნავს, რომ საკონკურსოდ კანდიდატთა წარმოდგენა შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციასა და წარმოება-დაწესებულებას, აგრეთვე კერძო პირებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ცნობა საჭირო დოკუმენტაციის შესახებ:

1. წარდგინება, ანუ აღწერა-დახასიათება ნაწარმოებისა, რომლის გამოც წარვადგენთ მის ავტორს სახელმწიფო პრემიაზე. დოკუმენტს ხელს აწერს წარმომდგენი.
2. პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები საკონკურსო ნაწარმოების შესახებ.
3. კანდიდატის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია.
4. კადრების აღრიცხვის ფურცელი.
5. ლიტერატურული ნაწარმოები 10 ეგზემპლარად, დანარჩენ დარგებში საჭირო ფოტომასალა და სხვა მასალები ნაწარმოებზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად.
6. კანდიდატის ორ-ორი ფოტოსურათი (3X4 სმ და 6X9 სმ).

ავტორთა კოლექტივების წარდგინებისას წესდებით დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს 4 კანდიდატისა.

დამატებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ: თბილისი, მაჩაბლის 13, მესამე სართული, ტელეფონები 99-06-36, 99-64-82.

## ვიზიტი

# ქალბატონი თანსუ ჩილერი საქართველოს ეწვია

პირველი გვერდიდან

ქალბატონმა თანსუ ჩილერმა, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იგი სტუმრად ჩამოვიდა მოძმე საქართველოში, თანაც — 29 აგვისტოს ტერორისტული აქტიდან ორი დღის შემდეგ და პირადად დარწმუნდა, რომ მისი ძმა ედუარდ შევარდნაძე, თავს ჯანმრთელად გრძნობს. პრემიერმინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა მნიშვნელოვან საკითხში თურქეთსა და საქართველოს შორის აზრთა სრული თანხვედრაა.

ქალბატონი თანსუ ჩილერის ინფორმაციით, გუშინდელ მოლაპარაკებებზე მიღწეულია შეთანხმება საქართველოს მიერ დავალიანების გადახდის გადავადებაზე. პრემიერმინისტრმა ისიც დასძინა, რომ ერთი წლის წინ თურქეთი სავალუტო კრიზისს განიცდიდა, ამჟამად კი,ეს კრიზისი დაძლეულია და გაჩნდა საქართველოსთვის ახალი კრედიტების გამოყოფის საშუალება. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ თურქეთის ექსიმბანკი უახლოეს მომავალში საქართველოსთვის გამოყოფს 50 მილიონ დოლარს, რასაც ცოტა მოგვიანებით მოყვება 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია.

თურქეთსა და საქართველოს შორის ფართოვდება თანამშრომლობა ელექტროენერგეტიკის დარგში. მიღწეულია შეთანხმება ერთობლივი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. გარდა ამისა, დამუშავებულია თურქეთ-საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი. ეს იქნება არა მხოლოდ ორი მეზობელი ქვეყნის დამაკავშირებელი მაგისტრალი, არამედ მის ინფრასტრუქტურაში ჩაერთვებიან რუსეთი, ამიერკავკასიის და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები.

რაღა თქმა უნდა, მოლაპარაკებების ერთ-ერთი ცენტრალური თემა ნავთობსადენის პრობლემა იყო. „ჩვენ შევთანხმდით აზერბაიჯანის პირველადი ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების საკითხში", — აღნიშნა თურქეთის პრემიერმინისტრმა. რაც შეეხება ე.წ. დიდ მაგისტრალს, მისი პროექტები თურქეთმა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში წარადგინა და ეს პროექტები ყველა კონკურსში საუკეთესო იყო. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ნავთობსადენმა საქართველოს ტერიტორიაზე გაიაროს", — დასძინა ქალბატონმა ჩილერმა. ამასთან, მუშავდება საქართველოს გავლით თურქეთისთვის თურქმენეთის გაზის მიწოდების პროექტიც.

მაღალმა სტუმარმა, დამსწრე საზოგადოებას და მთელ საქართველოს მიულოცა ახალი კონსტიტუციის მიღება.

შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ამ ეტაპზე დიდი ნავთობსადენით დაინტერესებულ ქვეყნებს შორის (იგულისხმებიან რუსეთი, თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი) რაიმე განსაკუთრებული დაძაბულობა არ არსებობს. არ ვიცი, რა მიმართულებით გადაწყდება დიდი ნავთობის გატარება, ახლა მხოლოდ პირველად ნავთობზეა ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობ, რომ რუსეთის ინტერესები გათვალისწინებული იქნება", — დასძინა ედუარდ შევარდნაძემ.

პრესკონფერენციის დასასრულს საკმაოდ მკვეთრი კითხვაც დაისვა, კერძოდ: ხომ არ უკავშირდება 29 აგვისტოს მომხდარი ტერორისტული აქტი ნავთობსადენის საკითხს.

„ჩვენ არც კი გვინდა, რომ ამ საკითხზე ასეთი კუთხით ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ", — ბრძანა თანსუ ჩილერმა და იმედი გამოთქვა, რომ უმოკლეს დროში ყველაფერი საქართველოსთვის სასიკეთოდ გადაწყდება.

ვნახოთ და იმედი ჩვენც ვიქონიოთ, მით უმეტეს, რომ ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა: ჩვენი ქვეყანა თანდათან ერთვება დიდ პოლიტიკაში და, აქედან გამომდინარე, საქართველოს მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ჩვენი სახელმწიფოს მომავალზე უზარმაზარ გავლენას ახდენს.

გაზეთი
კავკასიონი
# საუწყებო ფურცელი

## შუამავლობა, ყიდვა, გაყიდვა, გაცვლა, გაქირავება!
## სახლები... მაღაზიები... ოფისები... საელჩოები...

### იყიდება

#### ოფისები

რუსთაველზე
საუკეთესო
ოფისი
ფასი 100 000-ზე მეტი

საელჩოსთვის...
წარმომადგენლობისთვის...
შენობა,
დამოუკიდებელი!
ფასი — მაღალი.

იყიდება ჭავჭავაძის გამზირზე
მაღაზია..?, ოფისი..?
დღეს საღამოს — 35 000 დოლარია,
ხვალ დილით — იქნება 70 000 დოლარი

იყიდება ნაღდ ქალაქში
სოლოლაკში
«ივერიბანკთან»
დიდი, დიდი, დიდი,
7 ოთახიანი ბინა (240 მ2).
ფასი $59000.
(მანსარდის პერსპექტივით, სარემონტო).
გირჩევთ შეიძინოთ!

იყიდება
ვაკეში
ფალიაშვილზე
4-ოთახიანი ბინა
(უცხოური შეებელი, ახალი რემონტით...)
ფასი 80 000 დოლარი
რადგან გარემონტებულია, ამიტომ ეს
ბინა უიშვიათესია, ურეალურესია!

საბურთალოზე
ანაგის ქუჩაზე 4-ოთახიანი ბინა, 200 კვ.მ.
მაღალჭერიანი
ფასი 55 000 დოლარი

იყიდება საბურთალოზე
2+1
ჭერი 3,10
რემონტით
ფასი 33 000 დოლარი

იყიდება
მრგვალ ბაღთან
3-ოთახიანი (სარემონტო)
ფასი 39 000 დოლარი
ზოგს ურემონტო ურჩევნია!
... და ეს ძალიან კარგი ბინაა!!!
გირჩევთ შეიძინოთ

უცხოელი მყიდველი ეძებს
ვაკეში
ვერაზე
დიდ სახლს ან ბინას.
ფასი ნებისმიერი

### ვიყიდი

კარგ
ოფისს!
ოფისს! ოფისს!...

მოგვმართეთ
მისამართზე
ჭავჭავაძის
გამზირიდან
გალაკტიონის
ძეგლის
პირდაპირ
«წყალპროექტში»
მეორე
სართული
ტელ: 22-12-57
23-33-09



გაზეთი
სარეკლამო სააგენტო

ვიწვევთ სამუშაოდ სარეკლამო
აგენტებს!
ანაზღაურება – მაღალი ჰონორარი!!!

მოვემსახურები მაღალ
დონეზე
ვაზ-06 ავტომანქანით
საელჩოებს, ბანკებს, ფირმებს
იურიდიულ თუ კერძო პირებს.
ფასი შეთანხმებით
ტელ.: 30-48-53.

თბილისის ერთ-ერთ უძველეს კოლორიტულ უბანში „ვერაზე", 53-ე
სკოლის ბაზაზე, უკვე ერთი წელია არსებობს პანსიონატის ტიპის
კერძო დაწყებითი სკოლა „ევრიკა".
მოსწავლეები სკოლაში დაყოფენ 9-დან 17 საათამდე და უზრუნველყოფილი იქნებიან
ორჯერადი კვებით, მათთვის სასარგებლო და სასურველი გარემო პირობებით.
კლასში ჩაირიცხება არაუმეტეს 15 მოსწავლისა. მიღება იწარმოებს სკოლის
ფსიქოლოგიური სამსახურის მიერ შემუშავებული ტესტებით (I და II კლასებში).
საბუთების მიღება 21 აგვისტოდან 11-დან 14 საათამდე,
53-ე სკოლის შენობაში (ბარნოვის ქ. № 46).
დაწვრილებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ დარეკოთ 29-41-68.

ყოველდღიური გაზეთი «კავკასიონი»
იღებს შეკვეთებს სამგლოვიარო განცხადებების
გამოქვეყნებაზე
მოგვმართეთ: პეტრიაშვილის ქუჩა №7, ტელეფონი: 29-48-05

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტი
პედაგოგიური სპეციალობების დასაუფლებლად აცხადებს მიღებას გადამზადების სპეცფაკულტეტზე (სკოლამდელი აღზრდა,
დაწყებითი განათლება, რელიგია და კულტურა, ბიოლოგია, ქიმია, ეკოლოგია, უცხოური ენები, მათემატიკა, ფიზიკა,
ისტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა).
სწავლება მიმდინარეობს როგორც დასწრებული, ისე დასწრებულ-დაუსწრებელი,
როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური ფორმით.
სწავლების ხანგრძლივობა დასწრებულზე 1 წელია, დასწრებულ-დაუსწრებელზე — 2 წელი.
კურსდამთავრებულები მიიღებენ სპეციალურ დიპლომს.
სპეცფაკულტეტებზე მიიღებიან მხოლოდ უმაღლესდამთავრებული პირები.
სწავლება ფასიანია, განცხადებები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 1995 წლის 10 სექტემბრამდე.
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ.№178, ტელ.: 34-11-34, 34-16-25.

GEORGIAN
MARITIME
BANK



საქართველოს
საზღვაო
ბანკი

საქართველოს
საზღვაო სააქციო
კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი 412616 GESC SU

THE GEORGIAN
MARITIME
BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საიმედო ბანკი
მომავლის ბანკია

მომსახურება
მინიმალური ტარიფებით

საერთაშორისო
საბანკო ოპერაციები
სამი საბანკო დღის ვადაში

ვალუტის კონვერტაცია

ნაღდი ფულის ინკასაცია

გაცვეთილი
ფულადი ნიშნების შესყიდვა

ამერიკული კომპანია «მარსის» ოფიციალური
დისტრიბიუტერი საქართველოში
«კოკა-კოლა კავკასიონის» განყოფილება
«მარსს» ესაჭიროება შრომისმოყვარე,
ენერგიული ახალგაზრდები. ფირმა «მარსის»
საცალო-სავაჭრო ქსელში სამუშაოდ.

ანაზღაურება მაღალია!

მსურველებს გთხოვთ, დარეკოთ
შემდეგ ტელეფონებზე: 34-65-26. დილის
საათებში 9 სთ-დან 12 სთ-მდე.

# საუწყებო ფურცელი

გაზეთი


## ვაგრძელებთ კერძო განცხადებების უფასოდ განთავსებას. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58



### ვყიდი

- ლოტკინის გორაზე, გორიდის ქუჩაზე, 2-სართულიან, 200 კვ.მ. ფართის სახლს, ხეხილიანი ბაღით 400 კვ.მ. ფასი 16 000 დოლარი. ტელ.: 38-73-94, 38-66-55.
- 2-ოთახიან გარემონტებულ ბინას ვაჟა-ფშაველას 11 კვ.-ის დასაწყისში, მე-8 სართულზე.
- 2-ოთახიან გარემონტებულ ბინას მე-2 სართულზე, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- 1,5-ოთახიან ჩეხური პროექტის ბინას არაჩვეულებრივი რემონტით გლდანულაში. ტელ.: 95-81-62, იკითხეთ მედიკო.
- 2-ოთახიან ბინას, კადაკეთებულს 3-ოთახიანად, მიცკევიჩის ქუჩაზე, მე-5 სართულზე, ძველი რემონტით.
- 3-ოთახიან ბინას დიდი შუშაბანდით, 2 სარდაფით, თევდორე მღვდლის (ყოფილი ორჯონიკიძის) ქუჩაზე. ფასი 15 000 დოლარი.
- 2-სართულიან სახლს 5 ოთახით, სიღელ დიღომში, 120 კვ.მ. ეზოთი, ბაღი 400 კვ.მ. სოფლის ცენტრთან ახლოს. ფასი 6000 დოლარი. მისამართი: სოფელი დიღომი, კიკტორაანთ უბანი, რიბინჩიჩ (თუხი) კიბულაშვილი.
- 2-ოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე, ჭერი 2,80 მ. საბურთალოს ქუჩაზე.
- ერთოთახიან, პრივატიზებულ ბინას გლდანის „ა" მიკრორაიონში. ტელ.: 37-39-62.
- **ან ვცვლი 3 ოთახიან ექსპერიმენტული პროექტის4 ბინას ჩემი ფუნიკულიორის მეტრისადგურის ნებისმიერ სადგურთან ერთოთახიან ბინაზე (გაცვლის შემთხვევაში) ტელ.: 93-18-84 ან 93-31-81 იკითხეთ ციალა**
- 3-ოთახიან ბინას პირველ სართულზე ორმხრივი მიშენებით, გოგირდის წყლით, საგარაჟე ადგილით, ტელეფონით, ბინიდან ჩასასვლელი 2 სარდაფით.ნუცუბიძეზე, საბაგიროსთან. ბინა სარემონტოა. ჭერი 2,60.
- ვაკეში, მაღალ ბელეტაჟზე, პირველი სართულის სიმაღლე 2,40, მეორე სართულის — 3,40. ზემოთ არის 3 ოთახი. ეზო 40 კვ.მ. ბინას აქვს ღია, გადახურული ვერანდა.
- 2-ოთახიან ბინას საბურთალოს ქუჩაზე, „ხრუშჩოვკა", ჭერი 2,60, ქუჩიდან თითქმის მეორე სართული, რკინის კარებით, რკინის გისოსებით, ცხელი გოგირდის წყლით.
- ვერაზე 4-ოთახიან სუფთა ბინას 2 ბუხრის სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე.
- დიდ დიღომში 3-ოთახიან ბინას მე-11 სართულზე, 120 კვ.მ. ფართით, მეორე მიკრორაიონი.
- ბახტრიონის ქუჩაზე 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას მე-6 სართულზე, საერთო ფართი 120 კვ.მ.
- 17 კვ.მ. ოთახს ლოჯით და სათავსოებით კუმისის ქუჩაზე. ფასი 2000 დოლარი. ტელ.: 96-28-94.
- ნაძალადევის რაიონში კერძო ბინას, ბელეტაჟზე, 5 ოთახი, ხეივნით, თევზების აუზით, 100 კვ.მ. ეზოთი.
- 2 სართულიან სახლს ძალიან კარგი რემონტით ნაძალადევის რაიონში.
- იაფად საკუთარ სახლს პატარა ეზოთი ვაკეში.
- ვერაზე, მე-2 სართულზე 4-ოთახიან ბინას, გარემონტებული კაპიტალური გარაჟით, სარდაფით, ჭერი 3,40.
- 3-ოთახიან ბინას დიდუბის მეტროსთან მე-6 სართულზე. ჭერი 2,60;5-6 წლის რემონტით, სარდაფით. მანქანის ადგილით, ცხელი წყლით.
- 3-სართულიან კერძო სახლს პირველ-მესამე სართულზე. საერთო ფართი 125 კვ.მ. ბინა კარგად გარემონტებულია, კაპიტალური გარაჟით, 500 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი.
- ორსართულიან სახლს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში 2000 კვ.მ. ეზოთი და ცალკე 2000 კვ.მ. ნაკვეთით. საწყისი ფასი 6000 დოლარი. ტელ. 99-92-85
- ოთახნახევრიან კუთხის ბინას ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე. ფასი 12 000 დოლარი. ტელ.: 29-23-94.
- **ორსართულიან, პატარა სახლს ნაძალადევში, მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. ტელ.: 66-18-56, იკითხეთ მაია ან დათო.**
- მცხეთის ქუჩაზე, მაღალ ბელეტაჟზე ოთხოთახიან სარემონტო ბინას სარდაფით, დაშენების პერსპექტივით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-34-55.
- გადასასვლელ ხიდთან, პრავდის ქუჩაზე კერძო სახლს (ერთ ეზოში ორი ბინა), სამ-სამი ოთახით, შესაძლოა, გაიყიდოს ცალცალკე, სათავსოებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-15-77.
- ერთოთახიან, მაღალჭერიან ბინას ლოჯით ვერაზე, ფილარმონიის წინ, იტალიურ ეზოში, მანსარდის დაშენების პერსპექტივით. ფასი 6000 დოლარი. ტელ.: 23-06-38.
- წყნეთში ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას. სამზარეულო, აბაზანა, ტუალეტით, საგარაჟე, საბოსტნე, სასარდაფე ადგილებით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის მიშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-86-55, 73-78-90.
- 2-სართულიან აგარაკს ნიჩბისში, მცხეთიდან 10 კილომეტრი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, 600 კვ.მ. ხეხილიანი ბაღი. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 38-01-11.
- დიდუბეში, მეტრო „წერეთელთან" 2-ოთახიან, მაღალჭერიან, კუთხის ბინას 4-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე გარაჟით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-02-31.
- 5-ოთახიან (3+2) ჩეხური პროექტის ბინას რუსთავის შესასვლელში. მეორე სართულზე ტელეფონით, გარაჟით. ფასი 18 000 დოლარი. ტელ.: 38-01-11.
- გარემონტებულ კერძო სახლს, საბურთალოზე, ლვოვის ქუჩაზე სარდაფით, გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ან ვცვლი ოზურგეთში, ქალაქის ცენტრში 2-სართულიან, კაპიტალურ სახლს 12X11. 600 კვ.მ. ეზოთი ოზურგეთის, ლანჩხუთის ან ქობულეთის რაიონის ნებისმიერ სოფელში 3-4-ოთახიან საცხოვრებელ სახლზე. საწყისი ფასი 9 ათასი დოლარი. ტელ.: 6-57-41 (იკითხეთ ლიზა), 6-51-19 (იკითხეთ ჩიმშერი), 37-00-74 (იკითხეთ ანზორი ან სვეტა).
- სასწრაფოდ კერძო სახლს ბელეტაჟზე, ბაგებში ეზოთი და ბაღით (ყველანაირი ხეხილით). საწყისი ფასი 11 000 დოლარი. მისამართი: ბაგები, იმედაძის 4 (სკოლასთან). ტელ.: 68-61-74.
- კერძო სახლს ეზოთი და სათავსოებით სიმონ ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) ქუჩაზე №19-ა-ში (ბავშვთა სავადმყოფოს პირდაპირ). ტელ.: 36-17-03, იკითხეთ სულიკო (ნებისმიერ დროს).
- ოროთახიან, იზოლირებულ ბინას დიდი ლოჯიით, მეტრო „მარჯანიშვილთან" ახლოს მაღალი ჭერით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. აქვს გაფართოების პერსპექტივა. ბინის საერთო ფართია 100 კვ.მეტრი. ფასი 15 000 დოლარი. ტელ.: 96-90-26, იკითხეთ ნინო.
- ბინას ყაზბეგის ქუჩაზე (ყოფილი პავლოვის) 2-ა, 8-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. საერთო ფართი 140 კვ.მ. ჭერი 3 მ. საწყისი ფასი 20 000 დოლარი. ტელ.: 38-81-08 (დილას ან ღამე).
- ქ.რუსთავში, ლენინის 6 ნომერში, ოროთახიან გარემონტებულ ბინას, ფართი 32,5 კვ.მ. ლოჯიით და ორი აივნით და ერთოთახიან გაურემონტებელ ბინას 17,5 კვ.მ. ფართით, ერთი აივნით, რვასართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ადვილი შესაძლებელია გაერთიანება. მისამართი: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-5 მიკრორაიონი, მე-2 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, ბინა 39, კობახიძე ოთარი. ფასი შეთანხმებით.
- 2-ოთახიან იზოლირებულ, მაღალჭერიან ბინას (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ლოჯიით, აივნით, დამატებითი სათავსოებით, ტელეფონით, ბარნოვის ქუჩაზე ხიდთან. ეზოდან პირველი სართული, ქუჩიდან — მესამე. ფასი 18 000 დოლარი. ტელ.: 22-08-11.
- აგარაკს დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთში (ჟინვალთან ახლოს). სამსართულიანი კაპიტალური შენობა, ცენტრალური გათბობით, 2000 კვ.მ. ხეხილის ბაღით, წყაროთი. ფასი შეთავნხმებით. მისამართი: ხოშარაულის 29 (დიდუბე). ტელ.: 34-67-98 (საღამოს საათებში).
- **გაგარინის ქუჩაზე შშენებარე 3-ოთახიან ბინას, საერთო ფართი 100 კვ.მ. მე-5 სართული, ორი აივნით და ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 98-46-98, 37-43-06, 35-29-90.**
- საგურამოში ახატანი 2 სართულიან სახლს მანსარდით 1500 დოლარი. ტელ.: 39-16-61.
- ან ვცვლი აგარაკს ნაფეტვრებში. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი მანსარდით, გარაჟით. 1-ოთახიან ბინაზე თბილისში. 30-23-02 ან 39-87-92.
- 3-ოთახიან ბინას წერეთელზე გამოფენის მიმდებარე ტერიტორიაზე 8-სართულიანის მერვე სართულზე. 13000 დოლარი.
- საკუთარი სახლი ღრმაღელეს მეტროსთან.
- ერთ ოთახს შუშაბანდით კუმისის ქუჩაზე. ტელ. 96-28-94.
- ვაგირავებ 1 ოთახს შუშაბანდით საოჯახო ნივთებით. ტელ. 96-28-92.
- კარგად გარემონტებულ 3-ოთახიან ბინას ჭავჭავაძის ქუჩაზე (კალინინი) პატარა მანსარდით ყველა მხრიდან რკინის კარებებით და რკინის ჟალუზებით, „კალონკით".
- 1,5 გარმონტებული ბინა რკინის კარებით, ტელეფონით. დიღმის მასივში გარაჟითაც და უგარაჟოდაც. მეცამეტე სართული.
- იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული ბინა ტელეფონით, სარდაფით, საკუჭნაოთი 3-სართულიანის მეორე სართულზე. თევდორე მღვდლის ქუჩაზე.
- 3-ოთახიანი სუფთა ბინა ჭერი 2,75 დიდი დიღომი მეორე მიკრორაიონში მეთერთმეტე სართული 7000 დოლარი.
- ან ვცვლი ოზურგეთიდან თბილისში 2-ოთახიან ბინაზე ორსართულიან ბლოკის ახლადაშენებულ სახლს ტელეფონით ხეხილიანი ეზოთი (700 კვ.მ.). 11 ოთახიდან 3 არის გამზადებული საცხოვრებლად. ტელ. ოზურგეთში: 63909; 65595. თბილისში: 988333 ლევანი.
- დიღმის გამზ. მესამე კვარტალი ა კორპუსში. 9 სართულიანის მეხუთე სართულზე ჩეხური პროექტის ერთოთახიან ბინას ლოჯით, დიდი სამზარეულოთი. დიდი შესასვლელით. 7000 დოლარი. ტელ. 38-65-44.
- ოროთახიან კერძო ბინას ეზოთი. სვანეთის უბანში. ტელ.: 960986 ნელი. 7000 დოლარი. ერთოთახიანი არის ეზოში. ტელ.: 96-09-86. ნელი.
- ოროთახიანი ბინა პავლოვის 34 ა. ტელ.: 39-69-06.
- ან ვცვლი კაპ. სახლს სუფთა მდგომარეობაში ტელეფონით. დამხმარე სათავსოებით. სოფ. გლდანში რუსთაველის ქ. № 10. ტელ.: 36-22-84. კობა, ფასი შეთანხმებით.
- მიწის ნაკვეთს ვეჯინში ტელ.: 39-81-04.
- დოლიძის ქუჩაზე 2-ოთახიანი ბინა ლოჯით. მისამართი: მე-4 კორპუსი, პირველი სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 17. ტელ.: 36-74-93. საღამოს საათებში. იკითხეთ ლიკა.
- სასწრაფოდ! 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას 4-სართულიანი სახლის მესამე სართულზე. ოთახების ფართია 25+25+20, ლოჯია 10 კვ. მ. ჰოლი — 11 კვ. მ. საერთო ფართი — 110 კვ. მ. ჭერი — 3,60 მ. აბაზანა და ტუალეტი — ცალ-ცალკე. მუხის პარკეტი, რკინის კარი, აივანი გადაჰყურებს ქუჩას. მცირე რეკონსტრუქციის ხარჯზე კეთდება მეოთხე ოთახი, ეზოში მანქანის სადგომით, ტელეფონით, მარჯანიშვილის თეატრის გვერდზე. ტელ.: 95-44-83. საწყისი ფასი 28000 დოლარი.
- 5-ოთახიან საუკეთესო რემონტიან არასტანდარტულ ბინას ვაკეში ბარნოვის ქუჩაზე. საკუთარი ეზოთი, სარდაფითა და ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- **სასწრაფოდ 2-ოთახიან ბინას ალ.ჭავჭავაძის № 5-ში. იზოლირებულ კარგ ბინას მე-2 სართული. ტელ. 22-41-38; 99-65-86.**
- სასწრაფოდ ჩუღურეთის რაიონში ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე 2-ოთახიან სუფთად გარემონტებულ ბინას და ამავე სახლის პირველ სართულზე ერთ ოთახს შუშაბანდით, ორი სარდაფით, ტელეფონით. ფასი 7000 აშშ დოლარი. ტელეფონი: 96-98-80, ციური.

### ვყიდი

- სასწრაფოდ ორ ან სამოთახიან ბინას გლდანში 3500-4000 დოლარის ფარგლებში. მე-7, მე-8 მიკრორაიონებს და მეხუთე სართულის ზემოთ ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-12-21, 38-02-30, 93-16-37.
- 2-ოთახიან ბინას დიღმის მასივში ან დიდუბეში. ტელ.: 30-03-27 (საღამოს საათებში).
- მიწის ნაკვეთს ან პატარა სახლს ეზოთი ვერაზე, სოლოლაკში, მთაწმინდაზე. ტელ.: 99-70-78, იკითხეთ მანანა.
- სამოთახიან ფინურ სახლს. ტელ.: 60-05-22.
- ეზოიან სახლს მეტროსთან 1 კვ.მ. რადიუსში. ტელ.: 98-32-85. მარინა. 8000 დოლარის ფარგლებში.
- 1,5 ჩეხურს ან 2 ოთახიან ბინას 3500 დოლარად. ტელ.: 96-23-76. (იკითხეთ ეკა).
- ბახტრიონზე, მხატვრების კორპუსში, მესამე სართულზე, 5-ოთახიან არასტანდარტულ, სუფთა ბინას, ტელეფონით, დიდი ლოჯით, სამი აივნით, ორი ტუალეტით, სარდაფით, მიშენების პერსპექტივით (საერთო ფართი 200 კვ.მ.), მანქანის სადგომი ადგილით. ფასი 60000 დოლარი. ტელეფონი: 37-16-63.

### ვცვლი

- ერთოთახიან, არასტანდარტულ ბინას, საერთო ფართით 36 კვ.მ. ჭერი — 3,10 მ; (სანტექნიკა სარემონტოა), ორნახევრიან ბინაზე, ნუცუბიძის ფერდობზე, მე-3 მიკრორაიონში (რაიკომის მიდამოებში). ტელ.: 35-76-14, იკითხეთ ნატა.
- ბინას დიდუბეში, ეკლესიის პირდაპირ, 5-ოთახიან ბინას კარგი რემონტით, გარაჟით და ოთახნახევრიან ბინას. საერთო ფართი 80 კვ.მ. მეორე-მესამე სართულზე საკუთარ სახლზე ეზოთი საბურთალოზე. ჩეხური პროექტი.

### ვაქირავებ

- **3-ოთახიან ბინას ვარკეთილი-3-შიმეტროსთან ახლოს. ტელ.: 72-25-26.**
- **არასტანდარტულ 2-ოთახიან ბინას ტელეფონით ფანასკერტელის ქუჩაზე (საბურთალო). ტელ.: 37-15-60, იკითხეთ ლამარა.**
- ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ვაკეში ტელეფონით, ცხელი წყლით, მანქანის ადგილი. ტელ.: 29-21-76.
- ერთოთახიან ბინას რესპუბლიკური საავადმყოფოს პირდაპირ, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", ავეჯით. ფასი 50 დოლარი. ტელ.: 98-86-26, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 4 საათამდე.
- საერთო 3-ოთახიანი ბინის 1 ოთახს. აქვს ცალკე შესასვლელი. ტელ.: 39-66-71.
- ოროთახიან, გარემონტებულ ბინას ვაკეში, მეორე სართულზე, ეზოთი. ტელ.: 23-17-34, 23-17-31.
- ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ცენტრში (ვერაზე), მეექვსე სართულზე. ტელ.: 29-28-89, იკიხეთ თამილა 5 საათის შემდეგ, შაბათ-კვირის გარდა.
- **ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ვერაზე, ავეჯით, მაცივრით; რჩეულიშვილის ქუჩა №32-ბ-ში, მე-6 სართული (ყოფილი ხეთაგუროვის დასახლება). ტელ.: 61-52-13.**
- დადიანის ქუჩაზე 1-ოთახიან ბინას მეტრო „თავისუფლების მოედანთან" 30 დოლარად. ტელ.: 39-89-42. ელიკო.
- 1 ოთახს მეტრო „დელისთან" იაფად. ტელ.: 39-63-30.
- ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონში 2-ოთახიან ბინას მესამე სართულზე; ტელ.: 39-63-39.
- 1 ოთახს მეტრო „დელისთან" ასათიანის ქ. № 4. ტელ.: 39-60-54.
- 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას მეტრო „დელისთან" ტელ.: 31-78-44, 39-60-54.
- ოროთახიან ბინას გარემონტებულს. ტელ.: 23-17-31.
- ვაკეში სამოთახიანი ბინის 1 ოთახს. 50 დოლარად. ტელ.: 29-20-69.
- ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველაზე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან. ტელ.: 23-32-92; 39-18-22.
- 2-ოთახიან არასტანდარტულ ბინას, ბარნოვის ქუჩაზე. ტელეფონით და ავეჯით. თვეში 120 დოლარი. ტელ.: 38-01-11.

### ვიქირავებ

- **ვიქირავებ 1,5 ოთახიან ბინას დიღომის რაიონში 50 დოლარის ფარგლებში. ტელ.: 22-60-62. ნანი.**



### ვყიდი

- ავტომანქანა გაზ 24-10. მანქანა მუშა მდგომარეობაშია. ფასი 500 დოლარი. ტელ.: 68-43-92.
- **ვყიდი ავტომწე ზილ-133-ის ძარაზე, კამაზის ძრავით ("ურაკადილი"). 1988 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში. ფასი 7500 დოლარი. ტელ.: 98-46-98, 37-43-06, 35-29-90.**

### ვიყიდი

- მავთულს 4-5 მმ, კატანკას 8-10 მმ და ფოლადის ფურცლებს 3 მმ. ტელ.: 95-22-83.
- გუდრონს და მინა ქსოვილს. ტელ.: 96-80-99.



### ვყიდი

- იაპონია-ჩინეთის წარმოების რადიო-ტელეფონს, იდეალურად მუშაობს ჩვენს პირობებში გარანტიით. ფასი 80 დოლარი. ტელ.: 72-41-25, იკითხეთ ჯანო.
- კორეის წარმოების ახალ აუდიო ფაქსს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 35-31-67.
- ტელევიზორს „შილიარისი" 42 სმ დიაგონალი. ჩამონტაჟებული აქვს პალსეკამის ბლოკი. ფასი 200 დოლარი. ტელ.: 72-41-25.
- საქსოვ მანქანას „ნივა" ორი პრისტავკით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-41-25. ტექნიკა
- ვყიდი ახალ, გაუხსნელ ვიდეომაგნიტოფონს „სამსუნგი". ფასი 400 დოლარი. ტელ.: 39-93-73

### სხვადასხვა

- ვყიდი თხილამურებს „ჰედები", 180 სმ, ჩექმებს „სალვო", ზომა 42, სათვალეს. ტელ.: 29-24-46, იკითხეთ ია.
- ვყიდი ჩეხურ კედელს „მაგურა" სამეულით, მაგიდით, 6 სკამით. ფასი 1600 დოლარი. ტელ.: 98-78-91, 98-87-46.
- ვყიდი გერმანულ საძინებელს „შვერინი" ძალიან კარგ მდგომარეობაში. ფასი 1000 დოლარი. ტელ.: 38-57-70, 36-86-38, 36-86-54.
- ვყიდი ლითონის მილი. დიამეტრი 15 მმ-500 მეტრი. შველერი №20 — 2 ტონა, შველერი №30 — 3 ტონა. არმატურა 18 მმ დიამეტრით — 15 ტონა. შესადუღებელი აპარატები TD-517 უხმარი. ტელ.: 98-56-10 (დილით), 23-38-34 (საღამოს).
- ვყიდი მუნის მალამოს 2 დღის მორჩენის გარანტიით. ტელ.: 23-52-74, იკითხეთ თინა.
- ვყიდი პიანინოს „ბელორუსი" გერმანული კლავიატურით; მუხის პარკეტს — 8 კვ.მ. იაპონური ქვაბების კომპლექტს; მიწის ნაკვეთს ვეჯინში. ტელ.: 39-81-04.
- შესანიშნავი ამერიკული აპარატურით უმტკივნეულოდ, უსისხლოდ, მომენტალურად, ყოველგვარი გამიზეზების გარეშე ვხვრეტ ვთ ყურებს ამერიკული აპარატურით „Sali". აპარატის საყურით 10 000 მან. უსაყუროდ — 5000 მან. წინასწარი დარეკვით საღამოს საათებში: 23-02-25.
- ვყიდი წყლის გამაცხელებელ ბაკს „ADMIRALS". ფასი 110 დოლარი. ახალი, 40-ლიტრიანი. ტელ.: 37-34-41, იკითხეთ ირაკლი.
- **ვყიდი ქართულ ჩაის: შავი ბაიხი — 14 ტონა (28 კგ-იან ტომრებში); მწვანე ჩაი დაფასოებული 50 გრ-იან კოლოფებში — 12 ტონა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 35-29-90, 98-46-98, 37-43-06.**
- **ვამეცადინებ სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ.: 61-62-20, იკითხეთ ლამარა.**
- მსურველებს შევასწავლი ქარგვას, შეღავათიან ფასში. ტელ.: 29-40-94, იკითხეთ ქეთინო (საღამოს 6 საათის შემდეგ).
- იყიდება ყავისფერი პუდელის ლეკვი. 3 თვის. ტელ.: 35-11-66.
- ვყიდი მაცივარს „ზილ მახკვას", საწოლს, უცხოურ გადასაფარებელს 162X2, წითელი ფერის საფარდე ქსოვილს 160 სმ-სიგანით. ტელ.: 39-87-92.
- იყიდება ჩეხური წიგნის თაროები. 1 ცალის ფასი 20 დოლარი. ტელ.: 36-46-47.
- იყიდება ანტიკვარული ბრინჯაოს ჭაღი, მთის ბროლის, მსხლის ფორმით, 7 ნათურით. ტელ.: 95-08-19 (დილით). თემური.
- იყიდება 18 კილოვატიანი დიზელ გენერატორი ახალი 1500 დოლარი. 8 კილოვატიანი ბენზინ გენერატორი ბორბლებზე, ახალი. მოყვება „ატბონინი მალატოკი" და სვარკის აპარატი 1000 დოლარი 1/2 კილოვატიანი ბენზინ — გენერატორი, ახალი. 2.200.000 რუბლი. ტრაქტორი T-150, 1980 წლის გამოშვება. ნამუშევარი აქვს 150 სთ. არის კომპლექტში 3700 დოლარი. ტელ.: 95-22-83. ნუკრი, თამრიკო.
- ვყიდი ანტიკვარულ შავი ფერის გერმანულ სამპედლიან ჩუქურთმებიან საკონცერტო პიანინოს „კალმან". ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-58.
- ვყიდი ვიეტნამურ შალის ხალიჩას ახალს 3X2. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-58.
- ვყიდი ლოგინის 2 გადასაფარებელს 150X2. სირიული წარმოების, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-11-58.
- ავიყვან ბავშვებს 3 წლიდან 5 წლამდე, 10 საათიდან 18 საათამდე. 23-54-99. ქალ. ლამარა.
- ვასწავლი სალაპარაკო ენას ინგლისურში და რუსულში, ვამზადებ აბიტურიენტებს და სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. ტელ.: 96-28-94.
- ვყიდი ბელორუსიის კედელს და მაცივარს „აპშირონს". ტელ.: 96-28-92.
- იყიდება პერსონალური კომპიუტერი „რობოტრონი 1715" (მოდერნიზირებული), ფართო პრინტერით, „რობოტრონი 6312m". მოყვება სრული პროგრამული უზრუნველყოფა აგრეთვე დოკუმენტაცია და სისტემური ცნობარი რუსულ ენაზე. ტელ.: 34-46-46. დათო.
- ვყიდი ხელით საქსოვ მანქანა ზინგერს და ახალ ჩინურ ადიალებს ყავისფერს თეთრ ფონში. ტელ.: 95-72-43.
- ვყიდი ავტობუსს „პოლონი". საკუთარი 734418. საკაშვილი პაატა.
- ვყიდი ბავშვის ჩეხურ სკამს, საკერავ მანქანას, ფეხის და ხელის ყურძნის საჭყლეტს, რბილ ტახტს, გიტარას „ლენინგრადი", გერმანულ აკორდეონს, „პრაიგრივატელს", პიანინოს. ტელ.: 39-69-06.
- ვყიდი ქსეროქს „" ახალი. ფასი 1700 დოლარი. ტელ. 95-22-83. 10-დან 3 საათამდე. თამრიკო ან ნუკრი.
- ვყიდი პიანინოს ან ვცვლი სავაჭრო ჯიხურზე. ტელ. 66-56-13. დილის ან საღამოთი.
- ვყიდი 5 ცალ რკინის ფურცელს. ზომები 2 მ.55 სმ. სიგრძე. 1.07 მ. სიგანე. 2 მმ სისქე. 8 ცალ კუთხოვანას თითო 6,5 მ. სიგრძით. ფასი შეთანხმ. ტელ.: 31-83-54. მანანა.
- იყიდება პიანინო „ბელორუსი" გერმანული კლავიატურით, მუხის პარკეტი 8 კვ.მ. იყიდება იაპონური ქვაბების კომპლექტი. ტელ.: 39-81-04.
- ვამზადებ გერმანულში სპეციალური მეთოდით, გადასახადი თვეში 20 დოლარი. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ ტელ.: 39-07-29.
- ვყიდი დახლმაცივარს. ტელ.: 98-29-41.
- კერძო საბავშვო ბაღი აცხადებს 4-6 წლის ასაკის ბავშვების მიღებას ფრანგული ენის, მუსიკის, ქართული სიმღერების შესწავლით, იმუშავებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე. მისამართი: წინამძღვრიშვილის № 94, II სართული (ეზოდან). ტელ.: 95-69-51. კიკნაძე.
- **ვყიდი კუთხოვანებში ჩასმულ რკინის ბადეს (ლობეს ეზოსთვის, ნაკვეთისთვის). ბადე არის უცინკავი. მთლიანი სიგრძე 8 მეტრი, სიმაღლე 1-3 და 50 სმ. რაოდენობა 70 ცალი. თავისი მილებით, მილების ზომა არის 2 და 50 სმ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 66-19-26, იკითხეთ თამარ.**
- **ვყიდი მასიურ რკინის კარებს ნაკვეთისთვის, ეზოსთვის ზომა 42. ტელ.: 66-19-26, იკითხეთ თამარ.**
- ვყიდი პიანინო „ტოკატას", კარგ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 34-78-87.

---

## უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ბიურო დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვაში. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58

5-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ქალაქის ცენტრში, ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე, ზოოპარკის მასივის პირას, ჭერი 3 მ. არქიტექტორების სახლი. ფასი 50 000 დოლარი.

3-ოთახიანი ბინა მარჯანიშვილზე, ჭერი 3,60 მ, მარჯანიშვილის თეატრის გვერდზე, მე-4 სართული. ფასი შეთანხმებით.

იყიდება კერძო სახლი პლეხანოვზე ეზოთი, მე-3 სართული, 2 სანკვანძით გაჟელში. საჭიროებს კოსმეტიკური რემონტის დამთავრებას პირველ და მეორე სართულზე. ფასი 48 000 დოლარი.

**ფალიაშვილის ქუჩაზე, მე-4 სართულზე, 5-ოთახიანი ბინა, გარშემო აივნებით. მანსარდის მშენებლობა დაწყებულია. 5 წლის რემონტი. ფასი 45 000 დოლარი.**

**იყიდება**
საოფისე ფართობები ქალაქის ცენტრში.
ვაკეთებ ევროპულ სტილში ბინების რემონტს თქვენთვის მისაღებ ფასებში.

**უცხოური ორგანიზაცია იყიდის სახლს მეტროსთან ახლოს. საცხოვრებელი ფართი დაახლოებით 300 კვ.მ. ეზო 300 კვ.მ. (თანახმაა მეტრო „დიღმიდან" „ისნამდე").**

**იყიდება 300 კვ.მ. ფართის ბინა, 3-ოთახიანი, 2-ოთახიანი, 1-ოთახიანი გაერთიანებული, ფანასკერტელის ქუჩაზე. ფასი 57 000 დოლარი.**

4-ოთახიანი ბინა ჭავჭავაძის პროსპექტზე, „ბიპრომოტროის" პირდაპირ. ფასი 65 000 დოლარი

იყიდიან 3-ოთახიან ბინას ვერაზე, ვაკეში, საბურთალოს რაიონებში. ფასი 30 000 დოლარამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იუბილე

# პორტრეტის ოსტატის პორტრეტი



მას შეუძლია, ადამიანის „ბუნება უბრალო და განზოგადებული პლასტიკური ენის შემწეობით გადმოსცეს, რაც ძირითადად მდგომარეობს პორტრეტულ მსგავსებასა და ხასიათის სიძლიერეში, ე.ი. იმ დადებით თვისებებში, რაც გამოწვეულია თენგიზ ლვინიაშვილის სკულპტურული პორტრეტის ჟანრში" (იგორ ურუშაძე).

ყველაფერი გ.დორეს გრაფიკული ციკლიდან და შექსპირისა და შილერის აკადემიური გამოცემების ილუსტრაციებიდან ასლების გადაღებით დაიწყო. ეს იყო დამოუკიდებელი მუშაობისთვის მზადება, მზადება ხელოვანის დიდი გზისთვის. ამას მოჰყვა ორიგინალური ჩანახატები, სადაც ავტორის მახვილი თვალი და ნატურათა ხასიათების ამოცნობისა და გადმოცემის უნარი გამომჟღავნდა. მის პირველ სკულპტურულ ეტიუდებსა და ჟანრულ კომპოზიციებში კი სპეციალისტებმა თ.ლვინიაშვილის ნამდვილი მოწოდება დაინახეს. ამ ნამუშევრებით დაინტერესდნენ მოსე თოიძე და უჩა ჯაფარიძე და სწორედ მათ ურჩიეს ახალგაზრდა მხატვარს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძერწვის ხელოვნებისთვის.

თენგიზ ლვინიაშვილმა მთლიანად დაუკავშირა ქანდაკებას თავისი მომავალი 1945 წელს, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიის შესაბამის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. [illegible]

[illegible] (1948 წ.), [illegible] (1949 წ.), [illegible] (1949 წ.).

[illegible] 1950 წელს [illegible]

„[illegible]" [illegible]

[illegible]

ამის შემდეგ შეიქმნა ჟანრულად და თემატურად მრავალფეროვანი ნაწარმოებები, რომლებშიც ნათლად ჩანს ავტორის შრომისმოყვარეობა, გულმოდგინება, შემოქმედებითი პასუხისმგებლობა სახეთა ცხოვრებისეული სისავსე, ფსიქოლოგიური გამომსახველობა — ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი ხელოვანის ხელწერა.

მიუხედავად თენგიზ ლვინიაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა (იგი სხვადასხვა დროს საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მდივანი და თავმჯდომარის მოადგილე იყო), რასაც, რასაკვირველია, ძალზე დიდი დრო მიჰქონდა, [illegible]

[illegible]

ყოველივე ეს თავისთავად მეტყველებს მოქანდაკის ფართო პროფესიულ ინტერესებზე, მაგრამ უდავოა, რომ თენგიზ ლვინიაშვილმა ყველაზე დიდ წარმატებას სკულპტურული პორტრეტის ჟანრში მიაღწია.

ალბათ, ნათელია ამ ჟანრის სირთულე. იმისთვის, რომ მთლიანად გაიხსნას ცნობილ მოღვაწეთა სახე, საჭიროა მათი მოღვაწეობის ცოდნა, პორტრეტული მსგავსება და გრძნობათა თუ ხასიათების გადმოცემა. თენგიზ ლვინიაშვილის ნამუშევრებში ყველა ეს სირთულე დაძლეულია. მას შეუძლია, ადამიანის „ბუნება უბრალო და განზოგადებული პლასტიკური ენის შემწეობით გადმოსცეს, რაც ძირითადად მდგომარეობს პორტრეტულ მსგავსებასა და ხასიათის სიძლიერეში, ე.ი. იმ დადებით თვისებებში, რაც გამოწვეულია თენგიზ ლვინიაშვილის სკულპტურული პორტრეტის ჟანრში" (იგორ ურუშაძე).

ასეთი ოსტატობით არის შექმნილი რეჟისორ ა.წუწუნავას, კომპოზიტორ კ.ფოცხვერაშვილის, აკადემიკოს ა.შანიძის, პიანისტ ე.ვირსალაძის, გამოჩენილი ექიმების, მხატვრების, მუსიკოსების, მსახიობების, უნგრელი გოგონების და სხვათა პორტრეტები.

საქართველოს მრავალ [illegible]

[illegible] საქართველოს მიწაზე", — ამბობს 70 წლის ხელოვანი.

ზაზა ბიბილაშვილი

## ცხოვრება



# ქალთა კოლონია — კედლებს მიღმა დარჩენილი ტკივილი

ყველასთვის ცნობილია და გაკვირვებას არ იწვევს საპატიმროებსა თუ კოლონიებში მსჯავრდებულთა გაუსაძლისი პირობები: მოძველებული, ნგრევის პირას მყოფი შენობები, მათში გამეფებული ანტისანიტარია, არასრულფასოვანი კვება, მედიკამენტების უკმარისობა — ესე იგი, დასაღუპად განწირული ავადმყოფი პატიმრები. თავისუფლების აღკვეთა განა სიცოცხლის აღკვეთაა?! — მიზეზი ცხადია,ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირე. საპატიმროების მიზანი კი დამნაშავეთა გამოსწორებაა, მაგრამ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ?!. გამოსავალი მოიძებნება, რადგან არსებობს გამონაკლისი, სადაც კარგი ხელმძღვანელის ძალისხმევის შედეგად შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

№5 ქალთა კოლონიის შენობა ძველია, შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ დანგრევა არ ემუქრება. მზრუნველი ხელის კვალიც საკმაოდ ამჩნევია: სისუფთავე, მოწესრიგებული საწოლები, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, ტელევიზორი, კარგი კვება და ცხელი წყალიც კი. ეს ყველაფერი სასჯელმისჯილის გამოსწორების და ადამიანური ღირსების შენარჩუნების იმედს იძლევა.

კოლონიის უფროსთან, პოლიციის ვიცეპოლკოვნიკ გურამ ცერცვაძესთან ჩვენი სტუმრობა დაემთხვა სასჯელთა აღმასრულებელი მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის, პოლიციის პოლკოვნიკ შოთა ძნელაძის და სამედიცინო დარგში ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, პოლიციის პოლკოვნიკ ჯემალ ქარუმიძის შეხვედრას მსჯავრდებულებთან.

გაჭირვებულთა ბედ-იღბლით დაინტერესებული ბატონები შოთა ძნელაძე და ჯემალ ქარუმიძე არა ერთხელ მისულან კოლონიაში. იმ დღესაც პატიმართა გასაჭირზე და ავადმყოფთა დახმარებაზე მსჯელობდნენ. საფიქრალ-სადარდელი ნამდვილად ჰქონდათ: კოლონია არ მარაგდება მედიკამენტებით, მსჯავრდებულებს კი საკუთარი სახსრებით წამლების შეძენის საშუალება არა აქვთ, არიან ავადმყოფები და, მათ შორის, ტუბერკულოზით დაავადებულნი, რომლებიც სტაციონალურ მკურნალობას საჭიროებენ.

ქალთა კოლონიის და სასჯელთა აღმასრულებელი სამმართველოს ხელმძღვანელები ყველა ღონეს ხმარობენ მათ დასახმარებლად. მსჯავრდებული ქალებიც მადლიერებით სავსე თვალებით შეჰყურებენ კეთილმოსურნე ადამიანებს და მათი გამომეტყველებიდან გადარჩენის იმედი იგრძნობა. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის I ნაწილით (ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით, აგრეთვე, უკანონო გასაღება) გათვალისწინებულ სასჯელს იხდის, ამბობს: „როცა კოლონიაში მოვხვდი, იმას ვფიქრობდი და ვდარდობდი, რატომ წინასწარ არ გამოვუტანე საკუთარ თავს განაჩენი. ახლა კვლავ სიცოცხლეზე ვფიქრობ, ჩვენდამი სიკეთის გრძნობით გამსჭვალულმა ადამიანმა — ბატონმა გურამმა — დამიბრუნა ცხოვრების ინტერესი. შეიდი თვეა, რაც ამ კოლონიის უფროსია და ცხოვრების პირობები იმდენად გაგვიუმჯობესა, რომ გვიკვირს კიდეც. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჯანმრთელობის მდგომარეობა მაწუხებს, მაგრამ მჯერა, დამეხმარებიან. ადრე რომ ასეთი ადამიანები მყოლოდნენ გვერდით, დანაშაულსაც არ ჩავიდენდი.

ქალთა კოლონიის უფროსი, პოლიციის ვიცეპოლკოვნიკი, ბატონი გურამ ცერცვაძე აღნიშნავს: „კრიმინალურ სამყაროს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ, მაგრამ სასჯელის მოხდის პერიოდში პატიმარს ადამიანურად უნდა მოვექცეთ. მითუმეტეს, ქალებს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს მათთვის თავისუფლების აღკვეთის უფლება აქვთ, ადამიანური უფლებებისა კი — არა. კოლონიაში დამნაშავე უნდა გამოსწორდეს და არა — პირიქით".

ცხოვრების უკუღმართობით, უპატრონობით, სიდუხჭირით გზასაცდენილ ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა, მართლაც თანადგომა სჭირდებათ.

გულნაზ აბესაძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომელი, პოლიციის ლეიტენანტი

## პრესმერიდიანი

# გერმანული პრესის მიმოხილვა




ყურადღების ცენტრში კვლავ რჩება ბალკანეთის კონფლიქტი. თუმცა, როგორც ჩანს, ამერიკის და რუსეთის საშუამდგომლო დიპლომატიური ინიციატივების ტალღამ მცირე პერსპექტივა გაჩინა შესაძლო საშვიდობო მოლაპარაკებისთვის. გერმანიის მთავრობა მხარს უჭერს საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის წარმომადგენლების შეხვედრას ხორვატიის, ბოსნიისა და სერბიის პრეზიდენტებთან. ქრისტიან სერბთა ლიდერმა რადოვან კარაჯიჩმა განაცხადა, რომ სერბიას სჭირდება „ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიის 50 პროცენტზე მეტი". ლტოლვილთა გადაადგილებამ უკვე კატასტროფული მასშტაბები მიიღო. საინტერესო იყო სატელევიზიო ინტერვიუ გერმანიის კანცლერ ჰელმუტ კოლთან, რომელმაც თქვა: „ჩვენს ინტერესებს გერმანიის როლი ბალკანეთის საკითხის მოწესრიგებაში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამერიკისა და რუსეთის როლი მეტია, მინდა ვთქვა, რომ მხოლოდ იარაღი არაა მთავარი. კონფლიქტი დასრულდება და დადგება აღმშენებლობის ეტაპი. აქ კი მთავარია სახსრები. ვინ გადაიხდის? რასაკვირველია, 90 პროცენტს გერმანია. ეს ყველამ იცის. ასე რომ, გერმანიის როლი დღესვე დიდია ამ საკითხში".

\+ + +

ბინათმშენებლობის ფედერალურმა მინისტრმა ტიოფერმა მთავრობაში წამოაყენა პროგრამა „სახლი ახალგაზრდობისთვის", რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ხელშეწყობას ახალგაზრდა ოჯახებისთვის საკუთარი სახლების ასაშენებლად. მთავარი ამოცანაა 1 კვადრატული მეტრის საფასური დავიდეს 2000 მარკის ღირებულებამდე, რაც ძირითადად, მოხდება იმის ხარჯზე, რომ მთავრობა იკისრებს დაპროექტების საფასურს (არქიტექტორის ჰონორარს). პროგრამის იდეას, ბუნებრივია, ბევრი მხურვალე მხარდამჭერი გამოუჩნდა.

\+ + +

ოპოზიციის ლიდერი სოციალ-დემოკრატიული პარტია შარპინგი მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ფინანსთა მინისტრის ვაიგელის ცოტა ხნის წინათ განცხადებული იდეის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვითაც ბიულეტენის თანხის 20 პროცენტით შემცირება იყო შემოთავაზებული, ხოლო ავადმყოფობის ვადის გაგრძელებისას პროგრესული ზრდა ამ პროცენტისა. წინასწარი გაანგარიშებით, ეს მილიარდობით შეამცირებს საბიუჯეტო დანახარჯებს. საინტერესოა, რომ კრიტიკული პოზიცია დაიკავა [illegible] მერმა [illegible], რომელიც მმართველი პარტიის წარმომადგენელია. „თუ სამსახურის გამცდენი ერთ კვირას გააცდენს, ის ნამდვილად ავად ყოფილა". ასეთი იყო არგუმენტი. მართლაც, რომელი გერმანელი გააცდენს უმიზეზოდ სამსახურს ?! საბიულეტენო თანხის შემცირება შეფარვით ხელფასის შემცირებაა — ასეთია ფარულად დამოკიდებულება ფინანსთა მინისტრის იდეის მიმართ.

\+ + +

ყურადღებას იმსახურებს ოპოზიციური პარტიის სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური [illegible], რომელიც დაკავშირებულია მომავალ არჩევნებში კანცლერის კანდიდატურის დასახელებასთან. [illegible] ლიდერი რუდოლფ შარპინგი, ბუნებრივია, [illegible] გადაწყდეს [illegible] სოციალ-დემოკრატების წამყვანი [illegible] წევრის, ქვედა საქსონიის მხარის პრემიერმინისტრის შრიოდერის აზრით, ჯერ ადრეა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. მიმომხილველის აზრით, პარტიის ლიდერობისთვის ბრძოლა უნდა განვლოს. შრიოდერის ოპონენტები ხშირად შეკითხვას: „რატომ აქვს შრიოდერს განსაკუთრებული პოზიცია პარტიაში?"

\+ + +

გერმანიის იუსტიციის ფედერალურმა სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა წინადადება, რათა გამოიმუშავდეს ეფექტური სისტემა კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამინისტროს აზრით, კორუფცია გარკვეულწილად მოედო როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასევე სამთავრობო სტრუქტურებს, ძირითადად, სამინისტროების მუშაკებს. იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს მიაჩნია, რომ ყველაზე ეფექტური იქნება, თუ კორუფციული გარიგების მონაწილე-მოწმე გათავისუფლდება სასჯელისგან, საერთოდ პასუხისმგებლობიდან.

\+ + +

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ [illegible] და გადაწყვეტილება გამოიტანა სახელმწიფო დაწესებულებებში ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულების გამოკვრის აკრძალვის შესახებ. მიზეზი ასეთი გახლდათ: ბავარიის მხარის სკოლებში ტრადიციულად გამოკრული ეს გამოსახულება. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბავარიის მოსახლეობის 80 პროცენტი ქრისტიან-კათოლიკეა. [illegible] დაწყებული კანცლერით და დამთავრებული [illegible]. მაგრამ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ტრადიცია არ შეესაბამება კონსტიტუციაში დეკლარირებულ თავისუფალი აღმსარებლობის პრინციპს. მით უფრო, რომ [illegible] და სახელმწიფო ერთმანეთისგან კონსტიტუციურად გამიჯნულია [illegible]. შესაბამისად, სახელმწიფო დაწესებულებებში ჯვარცმის გამოსახულება რელიგიური ძალადობის [illegible]. „ჩვენ ქრისტიანები ვართ, არავინ უარყოფს ამას, მაგრამ კონსტიტუციის დარღვევა არ შეიძლება" — ამგვარი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის შეცვლა არავის შეუძლია. [illegible]

# რუსეთი არაყში იხრჩობს თავს

ბორის ელცინი ამ „ეროვნული ნაკლის" პირველი მიმდევარია. სოციალური და პოლიტიკური შედეგები კატასტროფულია.

„როდესაც ისტორიკოსები ამ ეპოქას აღწერენ, ისინი მთელი ერის ტოტალურ სიმთვრალეზე ილაპარაკებენ". — მუშაობის 40 წლის განმავლობაში, რუსეთის სათათბიროს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის წევრი, ნარკოლოგი და სოციოლოგი ვალენტინ გალკინი არასოდეს ყოფილა ასე პესიმისტურად განწყობილი.

1994 წ. რუსეთი ალკოჰოლური სასმელების მოხმარების მაჩვენებლებით მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა. სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულების რიცხვი 1985 წ. 316.000-დან 1994 წ. 600 000-მდე გაიზარდა. არყით მოწამვლის გამო სასიკვდილო შემთხვევების რიცხვმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, შესაბამისად 1993 წ. 29 600-დან 1994 წ. 53 000-მდე იმატა.

1985 წ. გორბაჩოვმა ბრძოლა წამოიწყო ამ ეროვნული ნაკლის წინააღმდეგ. „მშრალი კანონის" შესახებ დეკრეტის გამოცემისთვის მას ზედმეტსახელად „სსრკ-ის მინერალური მდივანი" შეარქვეს. მისი ხელისუფლების პერიოდში ეს ყველაზე არაპოპულარული ღონისძიება იყო. „გორბაჩოვს ალარასოდეს აირჩევენ", — თქვა ერთ-ერთმა დეპუტატმა. თავის დროზე ანტიალკოჰოლური კამპანია მთელი ძალით გაიშალა. იატაქქვეშა არყისსახდელების მოწყობისთვის კანონი დამნაშავეს ორი წლით შრომით კოლონიაში გაგზავნით სჯიდა. ყირიმში ვაზის აჩეხვა დაიწყეს. ლუდის სახდელი ქარხნები მურაბების სახარშებად გადაკეთდა. არყის წარმოება 40 პროცენტით შემცირდა. სიცოცხლის ხანგრძლივობა კი (1984 წ.) 61,7 წლიდან (1987 წ.) 64,9 წლამდე გაიზარდა.

მალე ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. ქარხნებში მუშები ერთ ახალ საბარგო მანქანას ერთ ლიტრ არაყზე ცვლიდნენ. ურალში 1991 წ. სამედიცინო ცენტრებში 300 გრ. სისხლის აღების საფასურად დონორებს 170 გრ. არაყს აძლევდნენ. არაყი ფარმაცევტულმა და პარფიუმერულმა ნაწარმმა შეცვალა. 1990 წ. რუსეთმა ალკოჰოლის მოხმარებაში 1984 წ. არსებულ დონეს მიაღწია. თუ 1984 წ. რუსი ადამიანი წელიწადში 10,5 ლიტრ სუფთა არაყს სვამდა, დღეისთვის ამ ციფრმა 14,5 ლიტრი შეადგინა. ჩეჩნეთში მოსკოველი ჯარისკაცები თავიანთ მუდამ ფხიზელ მუსულმან მტრებს იარაღით ამარაგებენ. „ჯავშანმანქანა მე ორი ყუთი არყის ფასად ვიყიდე, და თან დავპირდი, რომ ამ კვირაში მათ არ ვესვრი", — ამბობს ერთ-ერთი ჩეჩენი მებრძოლი გაზეთ „კომერსანტში".

მე-16 საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთში არაყი შემოვიდა, მას მუდამ ერთნაირ ყაიდაზე სვამენ — ერთი გადაკვრით. ჭიქებს სამჯერ უჭახუნებენ ერთმანეთს, შეთავაზებულ ჭიქაზე უარის თქმა უზრდელობად და თითქმის შეურაცხყოფად აღიქმება. „შედეგები კატასტროფულია: ღვიძლის ციროზი, ალკოჰოლური ფსიქოზი, ბავშვთა ასაკში სიკვდილიანობა, დანაშაულობები მთვრალ მდგომარეობაში, საავტომობილო კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის რიცხვი — ყველაფერი იზრდება", — გვიხსნის მე-14 დისპანსერის ექიმი მიხეილ მიხაილოვი. „ყველა სვამს, მანაწნალიდან დაწყებული, ხელისუფლებით დამთავრებული", — ამბობს ნარკოლოგი ვალენტინ გალკინი. რუსეთში სმის მაგალითს ხალხს პოლიტიკოსები უჩვენებენ. ბორის ელცინის მიდრეკილება სმისკენ საყოველთაოდ ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ირლანდიის პრემიერმინისტრი, გასული წლის შემოდგომაზე, შანონის აეროპორტში ამაოდ ელოდა თვითმფრინავიდან მის ჩამოსვლას: პრეზიდენტს „ჩაეძინა". ამ ცოტა ხნის წინათაც, სანამ საავადმყოფოში მოათავსებდნენ, თავისი პრეზიდენტობის მეოთხე წლისთავზეც კარგად მოილხინა.

რუსეთში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ხშირად „არყის გაელენით" ღებულობენ. 1991 წელს ზოგიერთი პუტჩისტი სიმთვრალისგან ბარბაცებდა. სსრკ-ის დაშლის შესახებ გადაწყვეტილებაც „ბანიაში" ღრეობის შემდეგ უნდა მიეღოთ. „როდესაც ხელმძღვანელები სვამენ, მთელი დანარჩენი ქვეყანა ბარბაცებს", — ამბობს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე კი არაყი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ხდება: კომუნისტები ხალხს „მშრალი კანონის" აღდგენას სთავაზობენ, ულტრანაციონალისტი ჟირინოვსკი კი დაპირებას იძლევა, რომ მთელ ქვეყანას უფასო არყით მოამარაგებს.

„შპიგელი"

## ფაქტები და მოვლენები

### ბოსნია-ჰერცეგოვინა: ნატო ამოქმედდა

გუშინ მთელი დღის მანძილზე გაეროს მიერ სანქციონირებული ნატოსა და გაეროს სწრაფი რეაგირების კორპუსის არტილერიისა და თვითმფრინავების მეშვეობით განუწყვეტლივ ბომბავდა ქრისტიან სერბთა პოზიციებს. ეს გახლდათ სერბ ქრისტიანთა მიერ 28 აგვისტოს სარაევოს დაბომბვისა და 37 მშვიდობიანი მცხოვრების დაღუპვის პასუხი. გაეროს სანქციას მოწონებით შეხვდნენ საფრანგეთის, გერმანიისა და ბრიტანეთის ხელისუფალნი. რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაგმო იგი და განაცხადა, რომ რუსეთი წინააღმდეგია ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ძალმომრეობის სხვადასხვა გამოვლინებისა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ის.

### ყაზახეთი: რეფერენდუმი ნაზარბაევისთვის

რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებას ყაზახეთის ხელისუფლება სახალხო რეფერენდუმის შემდგომ აპირებს, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის პროექტის მიხედვით ქვეყნის პრეზიდენტს განუსაზღვრელი უფლება აქვს მინიჭებული. მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს და გაათავისუფლოს მინისტრები. მიუხედავად ოპოზიციური ძალების პოლიტიკური აქტიურობისა, რაც საკონსტიტუციო რეფერენდუმის ჩაშლას გულისხმობს, სანამ არ შეიცვლება მასში მთელი რიგი მუხლები, პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი დარწმუნებულია, რომ მის განხილვაში ყაზახეთის მოსახლეობის 85 პროცენტი მიიღებს მონაწილეობას. რეფერენდუმის ზუსტი შედეგები ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, როგორც მიმომხილველნი აღნიშნავენ, ნაზარბაევის სიტყვები მართლდება.

### ცეილონელი ტერორისტები

შრი-ლანკის (ყოფილი ცეილონის) ავტოქტონური მოსახლეობის თამილთა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ 30 აგვისტოს გაიტაცა რამდენიმე სამხედრო კატარღა, რომელიც თანამედროვე იარაღით იყო აღჭურვილი. მოგვიანებით თამილებმა ამ იარაღის გამოყენებით ჩაძირეს ბორანი, მასზე მყოფი 122 კაცით. მგზავრთა შემდგომი ბედ-იღბალი ჯერჯერობით გაურკვეველია. რაც შეეხება კატარღებს, ქვეყნის უშიშროების სამსახურისა და პოლიციისთვის მათი ადგილსამყოფელი ცნობილია, მაგრამ ძალზე დიდ რისკთან არის დაკავშირებული კბილებამდე შეიარაღებულ თამილთა წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარება. შრი-ლანკის ხელისუფალნი ეძებენ გამოსავალს, რათა, რაც შეიძლება მინიმალური დანაკარგებით მოხდეს თამილ ტერორისტთა განიარაღება.

### ჩინეთი: „ჩვენს საქმეებში ნუ ერევით... თორემ"

დასავლეთში ამგვარი ტონი გამოიწვია ჩინეთის ხელისუფალთა მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებისადმი, რომელიც გაეროს ეგიდით მიმდინარეობს და რომელმაც ამ დღეებში დაიწყო მუშაობა პეკინში. კონფერენციის მესვეურ მანდილოსნებს და არა მხოლოდ მათ, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ ჩინეთი ჯერჯერობით არადემოკრატიული სახელმწიფოა და იგი ოფიციალურად მაინც კომუნისტური იდეალების ერთგული რჩება და ადვილი წარმოსადგენია, როგორ რეაგირებას მოახდენდა პეკინი მმართველებზე კონფერენციაში სიტყვით გამოსული ზოგიერთი სამართალდამცველის მოწოდება ბილ და ჰილარი კლინტონებისადმი, ყურადღება გაემახვილებინათ ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე აშშ-ს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ამ ქვეყანაში ვიზიტისას, რომელიც ოქტომბერში შედგება. „ჩვენს კრიტიკას მოეშვით," — თქვეს ჩინეთის ხელმძღვანელებმა.

### აშშ აფრთხილებს სირიას

კლინტონის ადმინისტრაციამ დაადანაშაულა სირიის ხელისუფლება, რომ იგი, ლიბიის მსგავსად, თავშესაფარს აძლევს მუსლიმან ფუნდამენტალისტებსა და ტერორისტებს, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონში ახორციელებენ ტერაქტებს და ამას განსაკუთრებული სისასტიკით სჩადიოდნენ ამერიკელ მოქალაქეთა წინააღმდეგ. აშშ-მ განაცხადა, რომ მას გაჩნია საკმაო მასალები იმისთვის, რომ საერთაშორისო დონეზე ამხილოს სირია, როგორც ტერორის ხელშემწყობი ქვეყანა და მამინ მისი „ავტორიტეტი" ერაყისა და ლიბიისას გაუტოლდება.

### სნეგურმაც ფეხი გამოყო...

პრეზიდენტობის ქაოსი ემოდუქმასავით მოედო ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკების იმ ხელმძღვანელებს, ვისაც ეს პატივი ჯერჯერობით არ რგებია. რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" ცნობით, მოლდოვის ლიდერმა მირჩე სნეგურმა ამ დღეებში განაცხადა, რომ მისი რესპუბლიკა ხასურველია, რომ საპრეზიდენტო მმართველობისა გახდეს. ამჟამად მოლდოვა საპარლამენტო რესპუბლიკაა.

კავკასიონი

ფეხბურთი

# უეფა-ს დელეგაცია თბილისში და 6 სექტემბრის მოლოდინი



გერჰარდ აიგნერი ლენარტ იუჰანსონი

29 აგვისტოს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვია უეფა-ს დელეგაცია. დელეგაციის ხელმძღვანელი უეფა-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი, ბატონი ლენარტ იუჰანსონი იყო. დელეგაციის შემადგენლობაში აგრეთვე შედიოდნენ: გერჰარდ აიგნერი (უეფა-ს გენერალური მდივანი), ჰეპლე (აღმოსავლეთ ევროპის საქმეთა კურატორი), ბატონები რონდალი და როტენბიულერი. სტუმრებმა მოინახულეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. შეხვდნენ და ესაუბრნენ სფფ-ს პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს" სტადიონი. მათ აღნიშნეს, რომ ბევრი რამ გაკეთებულია (გასახდელები, საშხაპეები), მაგრამ მრავალი პრობლემაც არსებობს. დასაღგმელია ახალი სკამები. წესრიგში მოსაყვანია საკომუნიკაციო საშუალებებიც. სათამაშო მინდორს რაც შეეხება, სტუმრებმა იგი დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს. დელეგაციის წევრებმა აგრეთვე მოინახულეს სპორტის სასახლე და დიღმის საწვრთნელი ბაზა, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს. მათ მიიღეს ინფორმაცია საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და გაეცნენ კლუბის პრობლემებს. გარდა ამისა, სტუმრები შეხვდნენ საქართველოს 16 და 18 წლამდე ასაკის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებს და ესაუბრნენ მათ. დაგეგმილი იყო ვიზიტი სახელმწიფოს მეთაურთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო შეხვედრა არ შედგა. სტუმრები მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრმა ბატონმა ოთარ ფაცაციამ. პრემიერმინისტრმა თქვა, რომ მხარს დაუჭერს საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას და აღნიშნა, რომ დიდი ფინანსური გაჭირვების მიუხედავად საქართველოს მთავრობა ყველაფერს იღონებს ქვეყანაში ბავშვთა ფეხბურთის ასაღორძინებლად. ამასთანავე, ფაცაციას თქმით, გამოინახება თანხა სტადიონების და სპორტული ბაზების მოწესრიგებისთვის.

სასტუმრო „მეტეხში" ბატონმა ლენარტ იუჰანსონმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. სტუმარმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა მოახსენა მობრძანებისთვის და მწუხარება გამოხატა სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტის გამო. იუჰანსონმა კმაყოფილება გამოთქვა გულთბილი მიღებისთვის და აღნიშნა:

ჩვენი ვიზიტის მიზანია, ახლოს გავეცნოთ ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებს და მათ აღმოსაფხვრელად სფფ-ს სათანადო დახმარება აღმოვუჩინოთ, რითაც წვლილს შევიტანთ ქართული ფეხბურთის განვითარებაში. საბჭოთა კავშირის დაშლა მხოლოდ პოლიტიკური პროცესი არ იყო. იგი სპორტსაც შეეხო. მოხარული ვარ, რომ ამიერიდან სპორტული მოღვაწეები თავისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე თვითონ აკონტროლებენ სპორტში მიმდინარე პროცესებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უეფა ევროპულ ფეხბურთს ყოველთვის უწევდა მეთვალყურეობას და მისი პრობლემები გულთან მიჰქონდა. ბუნებრივია, რომ ახლადშექმნილ რესპუბლიკებში ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები წარმოიშვა. ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ დახმარების პროგრამა, რომელიც აღნიშნულ ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. დახმარება ძირითადად ადმინისტრაციულ, ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ მხარეებს ითვალისწინებს.

თავის მხრივ ბატონმა ნოდარ ახალკაცმა ისაუბრა ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ ეს არის საქართველოში უეფას პრეზიდენტის მეორე (პირველი არტემიო ფრანკი იყო), ხოლო ახეთი წარმომადგენლობით პირველი ვიზიტი და აღნიშნა:

— უეფას მხრიდან მატერიალური, მორალური და ფინანსური დახმარება, რომ არ მიგვეღო, სფფ ვერ იარსებებდა. გამოვთქვამ რწმენას, რომ მხარდაჭერა კვლავაც გაგრძელდება. ალბათ, კადრების მომზადების მხრივაც. ჩვენმა თანამშრომლებმა სტუმრებთან საუბარში მრავალი საინტერესო წინადადება წამოაყენეს, რომლებსაც უეფა განიხილავს. გარდა ამისა, ბატონმა იუჰანსონმა მნიშვნელოვანი რჩევები მოგვცა ბავშვთა ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით. ამ რჩევებს ჩვენ სათანადო ყურადღებას მივაქცევთ.

ჟურნალისტის შეკითხვაზე — როგორ აფასებთ საქართველოს საგარეო და საშინაო საფეხბურთო ცხოვრებას? ბატონმა იუჰანსონმა უპასუხა:

— მოხარული ვარ, რომ საქართველოში პრიორიტეტი ახალგაზრდა კადრების მომზადებას ენიჭება. საგარეო ასპექტს რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ რამდენიმე წელი მაინც დაგჭირდებათ იმ დონის მისაღწევად, როგორიც ადრე, აღმავლობის პერიოდში გქონდათ, როცა თბილისის „დინამო" ბრწყინავდა. ამიტომ, ვფიქრობ, სწორია, რომ პრიორიტეტი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მიანიჭეთ და საქმის პრაქტიკული განხორციელებაც დაიწყეთ. მაგალითად, თბილისის „დინამოს" ბავშვთა საკმაოდ კარგი სკოლა გააჩნია. აქ 12 მწვრთნელი მუშაობს და მათი აღსაზრდელები, ვფიქრობ, პირველ ნაკრებსაც წარდგებიან.

ბატონი პრეზიდენტის თქმით, ჩავარდნა და აღმავლობა ყველა უძლიერეს გუნდს განუცდია, ამიტომ ამაში უჩვეულო არაფერია.

ბატონმა იუჰანსონმა საერთოდ ფეხბურთის პრობლემებზეც ისაუბრა. მან აღნიშნა:

— მატჩის დროს ტაიმ-აუტების შემოღების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, ამიტომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ამ საკითხს გულდასმით განხილვა სჭირდება. რაც შეეხება „ინტერ-ტოტოს" გათამაშებას, სტუმარმა აღნიშნა, რომ ეს ტურნირი წელს განახლებული სახით ჩატარდა. ადრე მას „საერთაშორისო საფეხბურთო თასი" ერქვა და უმნიშვნელო შეჯიბრებად მიიჩნევდნენ. მაგრამ წელს ევროპული ფეხბურთის მესვეურებმა დაინახეს რა ტურნირის სოლიდურობა, აზრი შეიცვალეს და დარწმუნდნენ, რომ გათამაშება არა მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ ეს არის ეროვნული ჩემპიონატისთვის საზაფხულო მზადების ერთ-ერთი ეტაპი.

## 6 სექტემბრის მატჩის მოლოდინში

„მეტეხის" საკონფერენციო დარბაზში ბატონმა ალექსანდრე ჩივაძემ პრესკონფერენცია გამართა. დასაწყისისთვის მან დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც გერმანიაში გაემგზავრებიან — მეკარეები: დევაძე, ზოიძე; მცველები: ბერაძე, კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, მაჭავარიანი, გეჯაძე; ნახევარმცველები: გოგიჩაიშვილი, გაბელაშვილი, ნე-



მსაძე, ტულუში, ცქიტიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე; თავდამსხმელები: ყაველაშვილი, შარველაძე, ა. არველაძის და ღუდუშაურის მზადყოფნას გერმანიაში შეამოწმებენ. გიორგი ნემსაძე ნაკრებს გერმანიაში შეუერთდება, სადაც ჩვენი გუნდი შაბათს, 2 სექტემბერს გაემგზავრება. მანამდე, 31 აგვისტოს ერთი, ხოლო 1 სექტემბერს „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ორჯერადი ვარჯიში გაიმართება. ჩივაძის თქმით, გერმანიაში გაირკვევა იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებიც თამაშისთვის მოემზადებიან. დღეისთვის ცნობილია, რომ ტრავმების გამო გუნდს აკლია: რევიშვილი, ცხადაძე, ინალიშვილი, ჯამარაული.

2 სექტემბრიდან თამაშამდე საქართველოს ნაკრები ვარჯიშს ნიურნბერგში გააგრძელებს. ჩვენები ერთ-ერთი სასტუმროში იცხოვრებენ. ჩივაძის თქმით, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ სავარჯიშოდ რამდენიმე მინდორი გამოგვიყო და რომელიც მოგვეწონება, იმაზე ვივარჯიშებთ. გუნდის პოტენციალს რაც შეეხება, ბატონმა ჩივაძემ აღნიშნა, რომ ხუთ დღეში ფიზიკურ მომზადებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამაზე თავად ფეხბურთელებმა უნდა იზრუნონ, ხოლო განწყობილებასთან დაკავშირებით კი თქვა: ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ ჩვენი შესაძლებლობები ბოლომდე წარმოვაჩინოთ.

დაბოლოს, ჩივაძემ განაცხადა: „რა თქმა უნდა, კიდევ არსებობს ნაკრების რამდენიმე კანდიდატი (გოგრიჭიანი, ყიზილაშვილი და სხვები). მათთვის ხელი არ გვიკრავს და დროთა განმავლობაში მოვიწვევთ კიდეც. მაგრამ გერმანიასთან თამაშზე უფრო მიზანშეწონილად ამ შემადგენლობით წასვლა მიმაჩნია".

კახა ფარულაშვილი

# ორი ლიდერი

საქართველოს VII ეროვნული ჩემპიონატის არცერთი კალენდარული მატჩი არ ჩაუტარებია თავისი გულშემატკივრების წინაშე თბილისის „დინამოს". ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს ფეხბურთის ფედერაციამ გადაუტანა შეხვედრები, რაც გამოწვეული იყო მისი უეფას თასზე საკვალიფიკაციო მატჩებში მონაწილეობით. თბილისელებმა მე-5 ტურის დაგეგმილი შეხვედრა ზუგდიდში ადგილობრივ დინამოელებთანაც გამოტოვეს, რადგან გუნდი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ეს პაექრობა ოდნავ გვიან გაიმართება.

განვლილ მეხუთე ტურში კვლავ ჩინებულად ითამაშეს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერებმა — ქუთაისის „ტორპედომ" და რუსთავის „მეტალურგმა". ავტოქარხნელებმა შინ — 3:0 სძლიეს წლევანდელი პირველობის დებიუტანტს ბოლნისის „ხრამს", „მეტალურგის" ფეხბურთელებმა კი საკუთარ სტადიონზე 4:0 დაამარცხეს ყვარლის „დურუჯი". ფოთის „კოლხეთი-1913" კიდევ ერთ დებიუტანტს სენაკის „ეგრისს" ღებულობდა და გაიმარჯვა — 1:0. მეხუთე ტურის ცენტრალური შეხვედრა ჩატარდა ბათუმში, სადაც ადგილობრივმა „დინამომ" 3:4 დათმო შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან — „სამტრედიასთან". გორის „დილამ" საკუთარ მინდორზე 2:0 დაამარცხა ლანჩხუთის „გურია", ხოლო ზესტაფონის „მარგვეთმა" (3:0) მოუგო თელავის „კახეთს". დახარულს თავისი მაყურებლები გაახარა თბილისის „შევარდენი-1906" კლუბმა, რომელმაც ჩინებულ სტილში — 3:1 დაამარცხა ხაშურის „იმერია". 2 ბურთი ამ ასპარეზობაში (ერთი მათგანი 30 მეტრიდან) გაიტანა თბილისელთა განაპირა მცველმა დათვაძემ, მესამე ბურთის ავტორია ქოიავა. სტუმრებიდან თავი გამოიჩინა ვეტერანმა ქობელაშვილმა.

ამრიგად, 5 ტურის შემდეგ 15 ქულით, ბურთების საუცხოო შეფარდებით 15:0 პირველ ადგილზეა ქუთაისის „ტორპედო". ამდენივე ქულით (ბურთების შეფარდება 15:3) მეორე ადგილზე იმყოფება რუსთავის „მეტალურგი". 12 ქულით მესამეზეა ზესტაფონის „მარგვეთი". 10 ქულა აქვს მეოთხე ადგილზე მყოფ ფოთის „კოლხეთს". საქართველოს VII ეროვნული ჩემპიონატი 17 სექტემბერს განახლდება. ამ დღეს ჩატარდება მე-6 ტურის მატჩები, რომელთა შორის ძალიან დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრა თბილისში. ბ.პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ადგილობრივი „დინამო" გათამაშების ლიდერს ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლებს.

შალვა ქორიძე

სამბო

# სოფიის ჩემპიონატზე გაემგზავრნენ

31 აგვისტოს სოფიის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო მსოფლიოს 1995 წლის პირად-გუნდურმა ჩემპიონატმა ჭიდაობა სამბოში — ჭაბუკთა, ახალგაზრდებსა და დიდებს შორის. როგორც სამბოს ჭიდაობის ფედერაციაში გვაცნობეს, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები სოფიაში ავტობუსით ბათუმის გავლით გაემგზავრა. მის შემადგენლობაში არიან ჭაბუკი მოჭიდავეები: ი.ბექაური (56 კგ.), თ.გივიაშვილი (60 კგ.), კ.ჭალიხური (65 კგ.), მ.ფალაშვილი (70 კგ.) და გ.ჯოხაძე (75 კგ.). აი, ასე გამოიყურება საქართველოს ახალგაზრდული გუნდი: მ.მაზმიშვილი (52 კგ.), გ.გოჩალეიშვილი (57 კგ.), კ.ხუბაშვილი (62 კგ.), გ.კუჭავა (68 კგ.), ო.მეტრეველი (74 კგ.), ლ.ფიფია (82 კგ.), გ.ჩუბინიძე (მძიმე წონა). ჩვენი ქვეყნის დიდების ნაკრებში მოხვდნენ ჭიდაობა სამბოს შემდეგი ოსტატები: ბ.ოდიშელი (52 კგ.), მ.თურქია (62 კგ.), მ.კურდღელაშვილი (68 კგ.), ჯ.მუზაშვილი (74 კგ.), მ.ჯანანაშვილი. (82 კგ.), ი.გამხიტაშვილი (90 კგ.), ი.ახალბედაშვილი (100 კგ.) და მძიმე წონოსანი ვ. პარუნაშვილი. ნაკრებს თან ახლავს მწვრთნელები ო.იაძე, გ.გიორგაძე, ს.გიორგაძე და ზ.ძაძამია. ჩემპიონატი კვირას 3 სექტემბერს დასრულდება. იმედია, ქართველი მოჭიდავეები არც ამჯერად დაარღვევენ სასიამოვნო ტრადიციას და სამშობლოში მკერდდამშვენებულები დაბრუნდებიან.

შალვა ბახტაძე

წერილები საფრანგეთიდან

# ლიტერატურული პრემიები — ფრანგული სპეციალიზაცია

**საფრანგეთი განთქმულია ყველით, ღვინითა და... ლიტერატურული პრემიებით. მათი რიცხვი 1500-ს აღემატება. ჯილდოს სახით ლაურეატებს ათიდან ათეულ ათასობით ფრანკს აძლევენ. გამარჯვება წიგნის დიდი ტირაჟის გარანტიაა, რაც კიდევ ასეულ ათასობით ფრანკს მოუტანს ავტორს. ყოველ შემოდგომაზე, ფოთოლცვენის ჟამს, საფრანგეთს ჟიურის მიერ ამორჩეული ლაურეატების ზვავი ატყდება ხოლმე თავს.**

მეოცე საუკუნე რომანების საუკუნედ რჩება. სწორედ რომანების ავტორებს აჯილდოებს „დიდი ექვსეული" - ექვსი ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიის ჟიური: „გონკურების პრემია", „რენოდო", „ფემინა", „მედიჩი", „ინტერალიე", „აკადემი ფრანსეზ". უხუცესი და ყველაზე სახელგანთქმული მათ შორის გონკურების პრემიაა. იგი 1903 წელს შეიქმნა ედმონ გონკურის ანდერძის საფუძველზე, თავისი მამის, ჟიულის სახელის უკვდავსაყოფად. ყოველ წელს იგი საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებს ირჩევს. ათი მუდმივი წევრისგან შემდგარი ჟიური თავს გონკურების აკადემიას უწოდებს და საფრანგეთის აკადემიისგან განსხვავებით, რომელიც რიშელიემ დააარსა, თავის რიგებში არც გავლენიან დიდგვაროვნებს იღებს და არც პოლიტიკურ მოღვაწეებს. გონკურების აკადემიაში მხოლოდ ლიტერატორები არიან. აკადემიურ წრეებში ასეთი თვალსაზრისი პოლემიკას იწვევს და ერთი აკადემიის წევრობა მეორის წევრობას გამორიცხავს.

გადაწყვეტილებას პრემიის მინიჭების შესახებ გაიონის მოედანზე, რესტორან „დრუანში" გამართულ სადილზე იღებენ ხოლმე, ოპერის ძველი შენობის ახლოს. ედმონ გონკურის ანდერძის თანახმად, „დროებითი რენტა", რომელიც მწერლებს ენიჭებოდათ, 5000 ფრანკს შეადგენდა, განუწყვეტელი დევალვაციის გამო ეს თანხა 50 ფრანკამდე დავიდა, მაგრამ გონკურების პრემია, უპირველეს ყოვლისა, წარმატებაა, რომელიც დიდ ტირაჟს უზრუნველყოფს (არანაკლებ 300 000 ეგზემპლარისა). 1984 წელს, როცა მარგერიტ დიურამ რომანისთვის „საყვარელი", პრემია მიიღო, მისმა ტირაჟმა 1 500 000 მიაღწია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ დროისთვის მწერალი უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი გახლდათ. 1988 წელს, ნაკლებად ცნობილი ერიკ ორსენას რომანის „კოლონიალური გამოფენის" ტირაჟმა 800 000-ს მიაღწია.

1966 წელს, მარგერიტ დიურამ „ნუველ ობსერვატერში" განაცხადა: „გონკურების პრემია უკანასკნელია პრემიათა შორის, ბოლო 20 წლის მანძილზე მას არც ერთი ღირებული წიგნი არ აღმოუჩენია". მიუხედავად ამისა, 1954 წელს გონკურებით აღინიშნა სიმონ დე ბოვუარი, რომანისთვის „მანდარინები" და 1951 წელს ჟულიენ გრაკი, რომელმაც უარი განაცხადა პრემიაზე. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თავისი არსებობის პირველი წლებიდან გონკურების პრემია ხშირად ისეთ მწერლებს აჯილდოებს, რომელთა სახელები პრემიის მინიჭებიდან მცირე ხნის შემდეგ დავიწყებას მიეცემიან ხოლმე.

რა თქმა უნდა, გონკურების პრემიით აღინიშნა 1919 წელს პრუსტის რომანი „მოწიფულ გოგონათა კალთებ ქვეშ", მალროს წიგნი „ადამიანთა ხვედრი" და მოდიანო, მაგრამ რამდენი პეროშონი და მაზელინი ამჯობინეს სელინს, ჟიდს, კოკტოს, არაგონს, ბიუტორს, ლე კლეზიოს! ისტორია გვაჩვენებს, ვინ იყო მართალი. ხოლო ჟიური მოგვიანებით ყოველთვის შეძლებს შეცდომის გასწორებას, როცა უკვე ცნობილ მწერალს დააჯილდოებს. გონკურების პრემია ყოველთვის დიდი მოვლენაა ქვეყნის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი მწერალს უნიკალურ საშუალებას სთავაზობს ყველაზე ფართო პუბლიკას გააცნოს თავისი ნაწარმოებები. ბოლო დროს ფრანგულენოვანი ქვეყნებიდან სულ უფრო მეტი მწერალი გახდა ამ ჯილდოს მფლობელი.



1946 წელი. გონკურების პრემიის ჟიური რესტორან „დრუანში".

მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ანტონინა მაიე (კანადა), თაჰარ ბენ ჟელუნი (მაროკო), პატრიკ შამუაზო (მარტინიკა), ამინ მაალუფი (ლიბანი).

საზღვარგარეთული რომანები

იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რომელიც გონკურების პრემიის გადაცემისას დაუშვეს, 1926 წელს ჟურნალისტებმა და კრიტიკოსებმა დააარსეს „თეოფრასტ რენოდო"-ს, „ლა გაზეტ დე ფრანსის" (1586-1653) შემქმნელის სახელობის პრემია. ამგვარად, სელინის რომანი „გზა ღამის კიდეზე" და ლე კლეზიოს „ოქმი", რომელიც თავის დროზე გონკურების ჟიურიმ უარყო, რენოდომ აირჩია. ლაურეატთა რიცხვში მოხვდა მწერლები ფრანკოფონული ქვეყნებიდან. ასე, მაგალითად, 1968 წელს მისი ლაურეატი გახდა მალიელი იამბო უოლოგუემი.

ქალ-მწერალთა შორის პროფესიული კავშირების გამყარებისთვის 1904 წელს გაჩნდა ლიტერატურული პრემია „ფემინა", რომლის ჟიურიშიც მხოლოდ ქალები არიან გაერთიანებულნი. პრემიით დაჯილდოებულთა საპატიო რიგებში მარგერიტ იურსენა რისა და ზოია ოლდენბურგის გვერდით რომენ როლანი, ჟოზეფ დელტეი, ჟორჟ ბერნანოსი და სენტ-ეგზიუპერიც არის. 1930 წლის ერთ მშვენიერ დღეს კი კლუბ ინტერალიეს ფოიეში, ქალთა ჟიურის გადაწყვეტილების მოლოდინში, ჟურნალისტებმა საკუთარი პრემიის ორგანიზება გადაწყვიტეს, რომელიც იქვე მიანიჭეს ანდრე მალროს.

პრემია „მედიჩი" 1992 წლამდე იმავე დღეს გადაიცემოდა, რა დღესაც „ფემინა", და აღინიშნებოდა საუკეთესო ნაწარმოები, რომლის ტონმა თუ სტილმა რაღაც ახალი შეიტანა ლიტერატურაში. „მედიჩი" 1958 წელს დაარსდა და მისი ლაურეატების რიცხვში არიან: ფილიპ სოლერი, კლოდ სიმონი, ჟორჟ პერეკი, ელენ სიქსუ, კრისტიან როშფორი. „ფემინა" და „მედიჩი" ენიჭებათ აგრეთვე წლის საუკეთესო მთარგმნელებს. ხოლო რაც შეეხება დიდ პრიზს საუკეთესო რომანისთვის, რომელსაც 1918 წლიდან „აკადემი ფრანსეზ"-ი გადასცემს თავის დროზე მიენიჭათ ფრანსუა მორიაკს, მიშელ ტურნიეს, ალბერ კოენის, პიერ-ჟან რემის.

„დიდ ექვსეულს" საფრანგეთის ლიტერატურული ცხოვრების ავანსცენა უკავია, თუმცა ამით არც სხვა პრემიები იჩაგრება: დიდი ეროვნული ლიტერატურული პრიზი. პარიზის, გამომცემლობების, პრესის სახლის პრიზები. ჟურნალ „ელ"-ის მკითხველთა, პოეზიის, მარსელ პრუსტის, მაქს ჟაკობის, ლივრ ინტერის (რადიო) პრიზები. გამომცემლობა „პლეადის", პირველი რომანის, შავი იუმორის, დეტექტიური, სასოფლო, გასტრონომიული, ეკონომიკური ლიტერატურისთვის დაწესებული პრემიები. თავისუფლების, ლუიზა ლაბეს, ჟიონო ფრანკოფონიის ჯილდოები.

ჟან-მარკ დიუპიუიში

ART MONITOR

# O TEMPORA, O MORES!

## 1 სექტემბერი

1870 — 125 წლის წინ დაიბადა გიორგი გეხტმანი, ცნობილი ქართველი ეკონომ-გეოგრაფი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გარდაიცვალა 1956 წელს).

1880 — 115 წლის წინ დაიბადა არისტო ჭუმბაძე, მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი.

1919 — ახლადგახსნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა დიმიტრი უზნაძის საპედაგოგო ინსტიტუტის დებულების შემუშავება დაიწყო. ამ დღეს იგი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა.

1925 — 70 წლის წინ დაიბადა თენგიზ ლეინიაშვილი, მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

1934 — „ერთა ლიგაში" რუსეთის მიღების საკითხთან დაკავშირებული საზოგადო კრების გახსნის წინ შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში მოიწვიეს მშვიდობიანობის საზოგადოებათა საერთაშორისო კონგრესი. ამ შემთხვევით ისარგებლა ქართველმა ემიგრანტულმა ასოციაციამ და კონგრესს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც აღძრული იყო საკითხი, რათა ერთა ლიგას რუსეთისთვის დაეკისრებინა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა. კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ერთა ლიგას მოაგონებდა თავის ადრინდელ გადაწყვეტილებებს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

1939 — გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, შეტევები მიმდინარეობდა ზღვიდან, ხმელეთიდან და ჰაერიდან. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

1939 — საბჭოთა კავშირმა მიიღო ახალი კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ.

1969 — სამხედრო გადატრიალება ლიბიაში. დაემხო მონარქია, გამოცხადდა ლიბიის არაბული რესპუბლიკა.



## გია კვერნაძე (მაშტაგენა)

მაშტაჯენა — ასე ეძახდნენ მეგობრები და ახლობლები მათთვის ძვირფას ადამიანს გია კვერნაძეს...

ტკივილს, რომელიც მისმა ტრაგიკულმა დაღუპვამ გამოიწვია, დღეს კიდევ ერთი ტკივილი მიემატება — 1 სექტემბერს გიას პატარა ბიჭუნა სევდანარევი სიხარულით გაუყვება სკოლისკენ მიმავალ გზას, იგი ხომ სკოლაში მამიკოს უნდა გაეცილებინა. ამ დღეს კი გიას გარდაცვალების ორმოცს აღნიშნავენ.

დედა, ბებია, ბაბუა უმამობას არ აგრძნობინებენ ბიჭუნას. ისიც, ალბათ შთაბეჭდილებებით აღვსილი დაბრუნდება სკოლიდან და მერე მამის საფლავზე აანთებს წმინდა სანთელს...

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფარულაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი გოლოთაშვილი, დავით კაკაბერი, შადიმან შამანაძე, ვახტანგ სალია, გულსუნდა სიხარულიძე.

პასუხისმგებელი მდივანი მაია ტორაძე, სარეკლამო სააგენტოს დირექტორი დიმიტრი მოსულიშვილი
კომპიუტერული ცენტრის უფროსი თენგიზ ჩოლოყაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-06; ფაქსი: 29-48-06.